

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
იურიდიული ფაკულტეტი



სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სამართლებრივი
ურთიერთობის სტრუქტურა და ფორმები

*ნაშრომი წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად*

თემის ავტორი: გიორგი ბერიძე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი რუსიაშვილი, ასოცირებული
პროფესორი

თბილისი

2021

| | |
|---|----|
| სარჩევი | |
| I. შესავალი..... | 1 |
| II. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსი..... | 3 |
| 1. შემსრულებლის ცნება და ქმედუნარიანობის საკითხი | 5 |
| III. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სახეები | 8 |
| 1. ნამდვილი მართებული შესრულება | 8 |
| 1.1 ნების და ინტერესის არსებობა | 10 |
| 1.2 ნების და ინტერესის არ არსებობა | 11 |
| 1.3 ნების და ინტერესის ურთიერთმიმართება | 11 |
| 1.4 ნების არსი | 12 |
| 1.5 ნების საწინააღმდეგო შესრულების გამართლება..... | 13 |
| 1.6 ინტერესის არსი | 13 |
| 1.7 სარგებლის ობიექტური განსაზღვრება..... | 14 |
| 2. ცალკეული შემთხვევები..... | 14 |
| 2.1 მეპატრონის ვალის გასტუმრება..... | 14 |
| 2.2 სხვის ქონებაზე ხარჯის გაწევა..... | 15 |
| 2.3 საჯარო ინტერესის მნიშვნელობა..... | 16 |
| 2.4 შემსრულებლის მიერ ხარჯების ანაზღაურება | 18 |
| 2.5 შემსრულებლის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება | 18 |
| 3. ნამდვილი არამართებული შესრულება | 19 |
| IV. შემსრულებლის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სპეციალური შემადგენლობა | 23 |
| 1. საფრთხე..... | 24 |
| 2. მეპატრონე..... | 24 |
| 3. მოქმედება, რომელიც მიმართულია საფრთხის თავიდან აცილებისკენ..... | 25 |
| 4. შეცდომით საფრთხის არსებობის ვარაუდი | 25 |
| 5. გაუფრთხილებლობა..... | 26 |
| 6. სამართლებრივი შედეგი..... | 28 |
| 7. შემსრულებლისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, როგორც სპეციალური შემადგენლობა..... | 28 |

| | | |
|-------|---|----|
| V. | 970-ე მუხლის შემადგენლობა..... | 31 |
| 1. | ზიანი და მიზეზობრივი კავშირი..... | 31 |
| 1.1 | ქონებრივი ზიანი..... | 31 |
| 1.2 | არაქონებრივი ზიანი..... | 31 |
| 1.3 | მიზეზობრივი კავშირი..... | 31 |
| 2. | ცალკეული მაგალითები..... | 32 |
| 2.1 | პირი, რომლის ინტერესებშიც მოქმედებს შემსრულებელი..... | 33 |
| VI. | მეპატრონისთვის შეტყობინების ვალდებულება..... | 34 |
| 1. | შეტყობინების შესაძლო მომენტი..... | 35 |
| 2. | შეტყობინების არსი..... | 35 |
| 3. | საქმის გაგრძელების ვალდებულება..... | 36 |
| 4. | სამართლებრივი შედეგი..... | 38 |
| VII. | დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების მომენტში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა და მიღებულის უკან დაბრუნება..... | 41 |
| 1. | ანგარიშის წარდგენა..... | 41 |
| 2. | შესრულების შედეგად შემსრულებლის მიერ მიღებულის უკან დაბრუნების ვალდებულება..... | 42 |
| 3. | შესრულებულის უკან დაბრუნების ფარგლები..... | 43 |
| VIII. | შემსრულებლის მიერ გაღებული თანხების ანაზღაურების უფლების განხორციელებადობა..... | 45 |
| 1. | არაპირითადი ვალდებულების გავლენა ხარჯების აუცილებლობის შეფასებისას..... | 45 |
| 2. | სამართლებრივი შედეგი..... | 46 |
| IX. | დავალების გარეშე სხვისი საქმეების გამორიცხვა..... | 48 |
| 1. | საკუთარი საქმის შესრულება..... | 48 |
| X. | დასკვნა..... | 52 |
| | ბიბლიოგრაფია..... | 55 |

აბრევიატურა

ა.შ. - ასე შემდეგ

გსკ - გერმანიის სამოქალაქო კოდექსი

იხ. - იხილეთ

მით. - მითითება

სსკ - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი

შდრ. - შედარება

Aufl. - Auflage

Beck OK - Beck'scher Online -Kommentar

BGB - Bürgerliches Gesetzbuch, Code of Civil law

NJW - Neue Juristische Wochenschrift

NJW-RR - Neue Juristische Wochenschrift, Rechtsprechungs-Report Zivilrecht

Rn. - Randnummer

I. შესავალი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სამართლებრივი სტრუქტურისა და ფორმების მიმოხილვას. მის სამართლებრივ შედარებით ანალიზს გერმანული მოდელის მაგალითზე. ამ თემით დავინტერესდი იმის გამო, რომ, ვფიქრობ, მიუხედავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამ საკითხზე ნორმების სიმცირისა, ასევე სასამართლო პრაქტიკის სიმცირისა და ზოგადად ამ საკითხის დღის წესრიგში არაპოპულარობის მიუხედავად ღირს მისით დაინტერესება, სიღრმისეულად შესწავლა და გამოკვლევა. ლიტერატურული თვალსაზრისითაც ვერ ვიტყვით, რომ ამ თემაზე მრავლად მოგვეპოვება სათანადო სახის მასალა, მაშინ, როდესაც იგივე გერმანიის სამართალში, მეცნიერებისა თუ მკვლევარების ნააზრევში, მათ ნაშრომებში ძალიან ბევრი რამ გვხვდება ამ საკითხებზე. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ ნორმათა სიმცირის გამო ერთგვარად ამოწურულია ამ საკითხის განვითარების პერსპექტივა, თუმცა, სწორედ იმის გამო, რომ სამართალი არ არის რაიმე ჩარჩოებში მოქცეული, შეზღუდული და ერთ ადგილზე გაჩერებული წარმონაქმნი, მას შეუძლია განვითარება და ისევე ცოცხლად არსებობა, როგორც თითოეულ ცოცხალ ორგანიზმს.

ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს ამ სამართლებრივი შედარებითი ანალიზის ფონზე, საქართველოს სამართლის უსაფუძვლო კრიტიკა. ბუნებრივია, იმის გათვალისწინებით, რომ არც თუ ისე დიდი ისტორია გააჩნია ჩვენ სამართალს, ვერ ვიტყვით, რომ იგი უნდა ჩაითვალოს უპირატესად გარკვეული ქვეყნების სამართალთან მიმართებით. თუმცა ნორმათა შედარების, კანონმდებლის განზრახვისა და მიზნების შეპირისპირებით რეალურად შესაძლებელიც შეიძლება იყოს, რომ ეს უპირატესობა არსებობდეს. არის გარკვეული საკითხები, რაც არ გვხვდება ამ შემთხვევისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელიც უმეტესწილად გერმანული მოდელის მიხედვით არის აგებული. თავისმხრივ შესაძლებელია, გერმანულ სამოქალაქო კოდექსში არ გვხვდებოდეს გარკვეული საკითხის მომწესრიგებელი ნორმა. შესაბამისად, სწორედ ეს გვადლევს იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ საკითხის კვლევისა და შესწავლის შედეგად შეიძლება მივიღეთ გარკვეულ დასკვნებამდე, რაც თუნდაც ამ მოუწესრიგებელი საკითხების მოწესრიგებას გამოიწვევს მომავალში საკანონმდებლო დონეზე, ან პირიქით, არსებული ნორმა, რომელიც ჩვენი ხედვით არასწორ მოცემულობას გვიქმნის კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, ცვლილება განიცადოს.

აღნიშნულ საკითხთან, კონკრეტულად დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან, დაკავშირებით ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულწილად ვხვდებით ნაშრომებს, თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს საკითხი - სამართლებრივი სტრუქტურა და ფორმები, დამატებით მოითხოვს განხილვას.

ნაშრომის ფარგლებში შევხები ზოგადად დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მნიშვნელობას, მის არსს, თუ როგორი შეიძლება იყოს ზოგადად ამგვარი შესრულება. საუბარი მექნება ასევე დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემადგენელ ნაწილებზე - ინტერესის, ნების არსის და სხვა მნიშვნელოვანი ცნებების მნიშვნელობაზე. შესრულებასთან დაკავშირებულ ზიანზე, მის ანაზღაურების მოთხოვნასა და თავიდან აცილებაზე, ასევე ამ საკითხთან დაკავშირებული ცნებების განმარტებაზე. მნიშვნელოვანია ასევე სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვაც, რაც შეგვიქმნის ამ ყოველივე განხილულთან დაკავშირებით წარმოდგენას, თუ რამდენად აქვთ გააზრებული მოსამართლეებს აღნიშნული საკითხები და რამდენად იღებენ კანონის მიზნის შესაბამის გადაწყვეტილებებს. ასევე შევხებით გერმანიის სამართალში მოწესრიგებულ საკითხებს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან დაკავშირებით. ეს იმიტომ, რომ გერმანული სამართალი და ზოგადად გერმანიის სამოქალაქო კოდექსი იყო ერთგვარი საფუძველი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შექმნისა. სწორედ ამაზე დაყრდნობით მოხდა ჩვენი სამოქალაქო კოდექსის ფორმირება, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ გერმანულ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსებს ბევრი რამ აქვთ საერთო, თუმცა უნდა ითქვას, რომ ბევრი რამითაც განსხვავდებიან.

II. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების არსი

რა არის დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება. მოდით ვცადოთ აღნიშნული ცნების პირდაპირი გაგებით განმარტება. ერთი შეხედვით საქმე გვაქვს ქმედებასთან, რომელიც ხორციელდება პირის დავალების გარეშე. ანუ გამოდის, რომ კონკრეტული პიროვნებისგან ჩვენ არ გვაქვს რაიმე სახის ნებართვა თუ მითითება, რომლის საფუძველზეც ჩვენ ამ პიროვნების შესაძლო მოქმედებით ვიმოქმედებთ. მართლაც, ალბათ თითოეული ადამიანის წარმოსახვაში მივიღებდით ასეთ მოცემულობას, როდესაც პირი ყოველგვარი ვალდებულებისა თუ თანხმობის (უფლებამოსილების) გარეშე შეასრულებდა გარკვეულ მოქმედებებს, რომლებიც სხვა პირის ინტერესებში იქნებოდა^[1]. არსებობს მოსაზრება, რომ სხვა პირის საქმის შესრულება დავალების, უფლებამოსილების ან სხვა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, სხვის სამართლებრივ სფეროში გაუმართლებელი ჩარევაა, რაც უფლების არამართლზომიერ ხელყოფად შეიძლება ჩაითვალოს და დელიქტად დაკვალიფიცირდეს^[2]. აღნიშნული შეიძლება უკავშირდებოდეს სხვადასხვა სამართლის საკითხებს, თუმცა ჩვენს შემთხვევაში დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება უნდა ჩაითვალოს გამონაკლისად, ვინაიდან ეს ეგრედწოდებული ჩარევა მართლზომიერ მოქმედებად განიხილება, თუმცა გარკვეული წინაპირობების არსებობისას, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. ობიექტურად, რომ ავიღოთ დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებას ძირითადად დადებითი შედეგები უნდა მოსდევდეს ამ ქმედებების ადრესატისთვის. შესაბამისად, სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით ამგვარი ტიპის ურთიერთობები არ უნდა გადიოდეს დელიქტის ცნების მოწესრიგებაში. ამ მიზნის გათვალისწინებით გამართლებული უნდა იყოს, დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების წესებით დადგენილი წიპირობების არსებობისას ერთი პირის მიერ სხვა პირების დახმარებისაკენ მიმართული ქმედება არ ჩაითვალოს უფლების არამართლზომიერ ხელყოფად და პირი გათავისუფლდეს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან^[3]. დავალების

¹ ბერიანიძე, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მნიშვნელობა და ძირითადი მახასიათებლები, სამენიერო ჟურნალი „ახალგაზრდა ადვოკატები“, თბილისი, მარტი #1, 2014 წ.

² Ogonowski, Die Geschäftsführung ohne auftrag nach österreichischem Rechte, 1877, S.5,6

³ „ადამიანთა ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის იდეა“-სთან დაკავშირებით ვრცლად. იხ. ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მეოთხე წიგნი, მეორე ტომი, 2001, 969-ემუხლი, გვ. 341.

გარეშე სხვისი საქმეების შესრულება კერძო სამართლის ერთ-ერთი უძველესი ინსტიტუტად შეიძლება განვიხილოთ. ის გულისხმობს, როგორც სპონტანურ მოქმედებას სხვისი ინტერესების დასაცავად ისე გრძელვადიანი ურთიერთობების გათვალისწინებით სხვადასხვა პირების ქონებისადმი ყურადღებისა თუ მზრუნველობის გამოჩენას.^[4] რომის სამართლის რეცეფციისა და დიდი კოდიფიკაციების პერიოდის შემდეგ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების რეგულირების იდეა შენარჩუნდა, თუმცა თვით ინსტიტუტმა არსებითი შინაარსობრივი ცვლილებები განიცადა^[5]. არსებობს მოსაზრება, რომ ისტორიულად ევროპულ ქვეყნებში არსებული მართლწესრიგის მიხედვით, შედეგობრივი თვალსაზრისით დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემდგომინდელი მოცემულობები ერთმანეთს დაშორდა და განსხვავებულად ჩამოყალიბდა^[6]. მნიშვნელოვანია ასევე დავალების გარეშე სხვისი საქმეების შემსრულებლის განზრახვა და ერთგვარი დავდაცვითი მექანიზმები. როდესაც პირი მოქმედებს სხვა პირის დასახმარებლად ამ დავალების გარეშე და მისი ეს განზრახვა არ სრულდება სათანადოდ ამ დროს მნიშვნელოვანია სწორედ ეს ერთგვარი დაცვის გარანტია. ამ ფაქტის გამართლება კანონმდებლის მიერ უფრო დიდ მოცულობის ზიანის პრევენციად უნდა ჩაითვალოს არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ ზოგადად სამოქალაქო ბრუნვაშიც^[7].

ცალსახაა, რომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც სახეზე უნდა იყოს სხვისი საქმის შესრულება ყოველგვარი ერთგვარი ბიძგის გარეშე (დავალება, მითითება და სხვა). რაც შეეხება სუბიექტებს. უპირველესად მნიშვნელოვანია თავად შემსრულებელი, რომელიც შესაძლებელია მოქმედებდეს, როგორც საკუთარი სახელით ისე წარმომადგენლის სტატუსით ან თუნდაც ისე როგორც ვალდებულების შემსრულებელი ეგრედწოდებული დამხმარის წოდებით^[8].

⁴ Ranieri, Europäisches Obligationenrecht, 3 Auflage, 2009, 1757.

⁵ ცერცვაძე, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2014, გვ.75.

⁶ Ranieri, Europäisches Obligationenrecht, 3 Auflage, 2009, 1764.

⁷ Ogonowski, Die Geschäftsführung ohne auftrag nach österreichischem Rechte, 1877, S.18.

⁸ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 677 Rn. 3

1. შემსრულებლის ცნება და ქმედუნარიანობის საკითხი

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებაში შემსრულებლის როლს ითავსებს ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს პირები, როგორც უკვე აღვნიშნეთ მოქმედებენ უშუალოდ მოქმედების მიმღები პირისგან დავალების გაცემისა და სხვაგვარი მითითების მიღების გარეშე⁹. აქვე მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ შემსრულებელი ვალდებულია მოქმედებდეს სწორად და მართლზომიერად იმ ფარგლებში, რომ ეს პირდაპირ მიმართული იყოს მესაკუთრის ინტერესების დაცვისკენ¹⁰.

როდესაც ვსაუბრობთ სხვისი საქმის შემსრულებელზე მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ერთი მომენტი, კერძოდ ქმედუნარიანობის საკითხი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ასე პირდაპირ არ ადგენს ამ ქმედების განმხორციელებელი პირი ქმედუნარიანია თუ ქმედუნარო. ამ თვალსაზრისით გერმანულ სამოქალაქო კოდექსში კერძოდ 682-ე პარაგრაფში ვკითხულობთ, რომ შემსრულებელი რომელიც ქმედუნარო ან შეზღუდულად ქმედუნარიანია მის მიმართ ვრცელდება მხოლოდ დელიქტური სამართლისა და უსაფუძვლო გამდიდრების წესები¹¹^[12]. მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ შედეგობრიობის თვალსაზრისით ქმედუნარიანობის საკითხი. თუ შემსრულებელი ქმედუნაროა, ამ შემთხვევაში დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება როგორც წესი უნდა გამოირიცხოს, რადგან დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება შეგნებული, ნებითი მოქმედებაა¹³. ქმედუნარო პირის ქმედებები ცალსახად ვერ მიიჩნევა იმგვარ ქმედებებად, რომლებიც ასე ვთქვათ სწორად არის მიგნებული, რომელზეც ნაფიქრი აქვს შემსრულებელს და რომლის განხორციელებაც სურს მას, ანუ გამოდის, რომ ქმედუნარო პირის ქმედების მართლზომიერებასა და ზოგადად არსში თავად ეს პირი ვერ იქნება დარწმუნებული¹⁴. თუმცა ასე პირდაპირ მაინც არ იქნება სწორი, რომ ქმედუნარო პირის ქმედება მივიჩნიოთ გაუაზრებლად და შეუფასებლად მის მიერ. ცალკეული შემთხვევების გათვალისწინებით აუცილებელია, რომ ეს გაუგებრობა, რომ ავირიდოთ თავიდან, საკითხი გადაწყდეს სასამართლოს მიერ, იმ თვალსაზრისით, რომ მხადაჭერის მიმღები პირის მიერ სხვისი საქმის შესრულება დაკვალიფიცირდება თუ არა

⁹ Mansel Jauernig BGB, Bürgerliches Gesetzbuch 18. Auflage 2021, § 677 Rn 1-3

¹⁰ Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Auflage 2020, § 677 Rn. 127

¹¹ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, 7.

¹² Gehrlein BeckOK BGB, Hau/Poseck 57. Edition, § 682 Rn. 1

¹³ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, 10.

¹⁴ „შეფასებაუნარიანობის“ შდრ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 123.

დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებად და წარმოეშობა თუ არა შესაბამისი უფლებები და მოვალეობები მას^[15]. ასეთ შემთხვევაში სასურველია სასამართლომ იმსჯელოს რამდენად შესწევდა ამ პირს ქმედების განხორციელების მომენტისათვის გააზრებული არჩევანის გაკეთების უნარი დამოუკიდებლად ან მიმართა თუ არა მან შესაბამის პირს მხარდაჭერისათვის^[16]. მეორე საკითხია შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირებთან მიმართებით დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება. გერმანული დოქტრინის თანახმად შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირთა ქმედებების მიმართ შესაძლოა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმების გავრცელება დასაშვებად იქნეს მიჩნეული მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს წამომადგენლის წინასწარ ან შემდგომი თანხმობა^[17]. ასევე, როდესაც შეზღუდულ ქმედუნარიანი იქნეს სრულქმედუნარიანობას და თავად არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს „თავის ნების გამოვლენის ნამდვილობის საკითხი“^[18]. აღნიშნული შესაძლებელია ვალიაროთ კანონმდებლის მიერ მკაცრ მიდგომად ამგვარი სტატუსის წარმომადგენლების მიმართ. ამან შესაძლოა გამოიწვიოს მათი ინტერესების შელახვა. კარგი იქნებოდა, თუკი არასრულწლოვანი პირების მიმართ გავრცელდებოდა პასუხისმგებლობის შედარებით მსუბუქი ფორმები (სსკ-ის 970-ე მუხლი). ამის მიზნად შეიძლება ის დასახელდეს, რომ ზოგადად სამოქალაქო კოდექსში და ასევე სხვა ნორმატიულ აქტებში არასრულწლოვანთა მიმართ გამოყენებულ შეზღუდვებს თავად ამ არასრულწლოვანთა ინტერესების დაცვა აკისრია.^[19] შეზღუდულ ქმედუნარიან პირებთან ერთად გამოთქმულია აზრი, რომ ასევე კარგი იქნება, თუ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესები გავრცელდება სრულწლოვან ქმედუნარო პირების მიმართაც^[20], რომლებსაც სასამართლომ შეუზღუდათ ქმედუნარიანობა. მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი სრულწლოვან და არასრულწლოვან ამ სახის პირებს შორის ისაა, რომ სრულწლოვანი პირების შემთხვევაში დამატებით ფიგურანტად შემოდის სასამართლო, რომელიც ადგენს ამ მოცემულობას, ხოლო არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში ეს თანდაყოლილიადაა სახეზე. აქვე ისაა მნიშვნელოვანი,

¹⁵ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, 10.

¹⁶ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, გვ. 125.

¹⁷ NJW1963, 1252, LG Aachen, Urteil vom 25.4.1963 –6 S 17/63; Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 677 Rn.3

¹⁸ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, 13.

¹⁹ Gehrlein in Bamberger/Roth, Beck'scher Online-Kommentar BGB, 28. Auflage, 2013, § 682, Rn.1

²⁰ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, 14.

რომ შეფასებაუნარიანობის ხარისხი სრულწლოვანი პირის შემთხვევაში სასამართლოს ჩარევის მიუხედავად უცვლელ მდგომარეობაში რჩება^[21].

²¹ იქვე. 14

III. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების სახეები

1. ნამდვილი მართებული შესრულება

შესაძლებელია ესა თუ ის სამართლებრივი ქმედება სრულდებოდეს მართლზომიერად, ყოველვარი ეჭვების გარეშე. ნამდვილი მართებული შესრულება სახეზეა მაშინ, როდესაც საქმეების შესრულება შეესაბამება დაინტერესებული პირის ინტერესსა და ნამდვილ ან სავარაუდო ნებას^[22]. ამ დროს შემსრულებელი ითავსებს მეპატრონის ადგილს, ასე ვთქვათ ის უთანაბრდება რწმუნებულს და წარმოეშვება უფლებები და ვალდებულებები, კერძოდ საქმეების ჯეროვანი შესრულების ვალდებულება, შეტყობინების ვალდებულება, მიღებულის უკან დაბრუნება, გაწეული ხარჯების ანაზღაურების უფლება. ასევე შესაძლებელია ნამდვილი შესრულებით გამოიხატოს ისეთი შემთხვევა, როდესაც რეალურად ვერ მოხდება შემსრულებლის და მეპატრონის ქმედებების თანხვედრა ინტერესებისა და ნებასთან მიმართებით, რაზეც ასევე ვისაუბრებთ. როდესაც არ მოდის შესაბამისობაში შემსრულებლის და მეპატრონის ქმედებები და ერთგვარად საქმე გვაქვს არამართებულ შესრულებასთან შესაძლებელია წინა პლანზე წამოიწიოს პასუხისმგებლობის საკითხი. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 974-ე მუხლის მიხედვით შემსრულებელს არ შეუძლია მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს, თუმცა ქვემოთ ამასთან დაკავშირებით უფრო ჩავშლი და დეტალურად ვისაუბრებ, რადგან რეალურად შესაძლოა მოქმედება ნების საწინააღმდეგო იყოს, თუმცა მისი საშუალებით დგებოდეს მეპატრონის სასარგებლო მოცემულობა იმაზე მეტად ვიდრე ის იმ მომენტში იყო. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა მეპატრონის ნების შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია ანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი. როდესაც დღის წესრიგში დგება გამოუვალი მდგომარეობა, როდესაც პირს უწევს გარკვეული ქმედებების განხორციელება მეორე პირის ქონების დასაცავად, რის დროსაც იგი რეალურად ზიანდება, ამ დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ორ მომენტზე, სურდა თუ არა დასაცავი ქონების მესაკუთრეს ამ ქმედების განხორციელება და იცოდა თუ არა ამ სურვილის შესახებ შემსრულებელმა პირმა. ერთი შეხედვით შემსრულებელი მოქმედებს მართლზომიერად, რადგან მას აქვს კეთილი განზრახვა, სურს დაიცვას ზიანის

²² კროპკოლერი გსკ-ის სასაწავლო კომენტარი, თარგმანი, § 677, ველი 3.

მიყენებისგან პირის ქონება, თუმცა ცალსახაა, რომ ამ პირს რეალურად ამ დაცვის განხორციელება არ სურს. იგი დარწმუნებულია იმაში, რომ მაშინაც კი, როდესაც მის ქონებას ზიანი მიადგება იგი ამ ზიანის კომპენსირებას მოახდენს, რადგან ვთქვათ სარგებლობს დაზღვევით^[23]. თუმცა მიუხედავად მესაკუთრის ამ განზრახვისა, მოქმედი პირის ქმედებები მაინც უნდა ჩაითვალოს ნამდვილად. იმ პირობებში, როდესაც მან არც კი იცის მესაკუთრის ნების შესახებ, როდესაც გამოუვალი მდგომარეობაა და ვთქვათ შეიძლება დადგეს ისეთი მოცემულობა, რომ საფრთხე ადამიანის სიცოცხლეს მიადგეს აქ იმოქმედებს, სწორედ ის დანაწესი, რომელიც გათვალისწინებულია სსკ 974-ე მუხლის პირველი ნაწილით, კერძოდ შემსრულებელმა არ იცის მესაკუთრის რეალური განზრახვის შესახებ და მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს აყენებს საფრთხის ქვეშ^[24], რაც უნდა ჩაითვალოს მისი მხრიდან ნამდვილ შესრულებად, რაც ასევე არ წარმოშობს ვალდებულებას მისი მხრიდან ანაზღაურდეს განცდილი ზიანი. სხვისი საქმეების შესრულება მართებულია სამ შემთხვევაში^[25], როდესაც მოქმედება მიმართულია მეპატრონის ინტერესებისკენ და მის ნამდვილ თუ სავარაუდო ნებისკენ, თუ მეპატრონის საწინააღმდეგო ნება უმნიშვნელოა ან თუ მეპატრონე იწუნებს გაუმართლებელ შესრულებას. მოცემული ერთგვარი წინაპირობები სხვადასხვა შემთხვევას სხვადასხვანაირად შეიძლება მოერგოს. მაგალითად, როდესაც საქმე მართლაც სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენებას ეხება აქ შესაძლებელია მეპატრონის მიერ წამოყენებული პრეტენზია, რომ მას ქონება დაზღვეული აქვს უმნიშვნელოდ ჩაითვალოს. შესაძლებელია სახეზე გვქონდეს დაზღვევა, თუმცა მეორე მხარეს იდგეს რამდენიმე პირის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ, მაშინ, როდესაც შემსრულებელი სწორედ ამ სიკეთის დაცვისთვის მოქმედებს, ვფიქრობ მეორეხარისხოვნად უნდა ჩაითვალოს მეპატრონის ნების არსებობა ამ კუთხით. აღნიშნული მაგალითი შეიძლება მოიაზრებოდეს, როგორც საჯარო ინტერესის მატარებელი შემთხვევა^[26], რომლის დროსაც შემსრულებლის მიერ განხორციელებული ქმედებით ერთისმხრივ დაცულ იქნა ადამიანთა სიცოცხლე, მეორესმხრივ კი აცილებულ იქნა თავიდან მეპატრონის ქონების უკანონო დაუფლება. დაზღვევის ვარიანტი სუბიექტურ ფაქტორად გამოდგება გარკვეულწილად მეპატრონის გადმოსახედიდან, თუმცა, რადგან საჯარო ინტერესი შეიძლება იდგეს საპირწონედ - ადამიანის

²³ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ჟურნალი, დავალების გარეშე „ასევე“ სხვისი საქმის შესრულება და მეპატრონის ნების საწინააღმდეგოდ შესრულება, 1/2020. გვ. 54

²⁴ OLG Karlsruhe Versr 1977, 936.

²⁵ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ჟურნალი, დავალების გარეშე „ასევე“ სხვისი საქმის შესრულება და მეპატრონის ნების საწინააღმდეგოდ შესრულება, 1/2020. გვ. 50

²⁶ Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Unbeachtlichkeit des entgegenstehenden Willens des Geschäftsherrn, Auflage 2020, § 679 Rn. 1

სიცოცხლის დაცვის კუთხით, ეს სუბიექტური ნება უგულველყოფილ უნდა იქნეს. თუმცა, ყოველივე ზემოხსენებული იმას არ ნიშნავს, რომ ყოველთვის ასეთი მოცემულობა გვექნება. შესაძლებელია გვექონდეს განსხვავებული მდგომარეობაც, როცა საერთოდ არ იყოს პრობლემური საკითხი საჯარო ინტერესის მხრივ, არც სიცოცხლეს ეხებოდეს შესრულება და ზემოხსენებული დაზღვევის ვარიანტი ფარავდეს უპირატესობის გაკეთების შესაძლებლობას მეპატრონის ნების სასიკეთოდ. შედეგის თვალსაზრისით, ნამდვილი მართებული დავალების გარეშე შესრულების დროს მეპატრონეს აქვს უფლება მოითხოვოს მისი საქმეების შესრულების შესახებ ინფორმაციის მიღება, ასევე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება არაჯეროვანი შესრულებისთვის და მიღებულის დაბრუნების ვალდებულება. რაც შეეხება შემსრულებელს მას წარმოეშვება დანახარჯებისა და შესაძლო ზიანის ანაზღაურების უფლებები, თუმცა აღნიშნული საკითხები საჭიროებენ მეტ განმარტებას და ჩაშლას.

1.1 ნების და ინტერესის არსებობა

კარგი იქნება, თუ ნაწილობრივ შევეხებით სსკ 974-ე მუხლის შინაარსს. აქ მნიშვნელოვანია რამდენიმე გარემოება. გერმანულ დოქტრინაში მართებულადაა ხაზგასმული, რომ ნების ან ინტერესის არსებობა უნდა დადგინდეს იმ მომენტისთვის, როდესაც შემსრულებელმა იკისრა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება და არა შემდგომ საქმის განხორციელებისას^[27]. აღნიშნული განაპირობებს იმას, რომ მეპატრონემ უნდა აანაზღაუროს წარმოშობილი ხარჯები მაშინაც, როდესაც შესრულება უშედეგო აღმოჩნდა^[28], თუ საქმის შესრულების დაწყების მომენტისთვის შემსრულებლის ქმედება შესაბამისობაში იყო მეპატრონის ნებასა და ინტერესთან. აქ არის კიდევ ერთი მომენტი, არ არის აუცილებელი საქმის შესრულების დაწყების მომენტშივე არსებობდეს მეპატრონის აღნიშნული ნება ან ინტერესი, შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ მაშინ, როდესაც შესრულება დაიწყება და მეპატრონეს ასე ვთქვათ მიუვა აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია და იგი ამას მოიწონებს^[29] მაინც გავრცელდეს ზემოხსენებული ხარჯების ანაზღაურება სასურველი შედეგის დაუდგომლობის მიუხედავად.

²⁷ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 683 Rn. 1

²⁸ Ogonowski, Die Geschäftsführung ohne Auftrag nach österreichischem Rechte, 1877, S.30

²⁹ ნინიძე, საქართველო სსამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მეოთხე წიგნი, მეორე ტომი, 2001, 969-ემუხლი, გვ. 343

1.2 ნების და ინტერესის არ არსებობა

ასევე გერმანულ დოქტრინაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად მეპატრონის ნება და ინტერესი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემადგენლობის აუცილებელ წინაპირობას განეკუთვნება^[30]. სხვადასხვა ავტორები მიიჩნევენ, რომ ზემოთ ხსენებული არ გამომდინარეობს გსკ 677-ე მუხლიდან და შესაბამისად ამ დასკვნის გაკეთებაც არ არის მართებული^[31]. აღნიშნულს იმიტომ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვგულისხმობ ნებისა და ინტერესის არსებობას, რომ მათ გარეშე შესაძლებელია მივიღოთ ისეთი მოცემულობა, რომ წარმოუდგენელი იყოს შემსრულებლისთვის იმ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც ამ შესრულების შედეგად წარმოიშვა^[32].

1.3 ნების და ინტერესის ურთიერთმიმართება

როდესაც ვსაუბრობთ ნებასა და ინტერესზე, რომელიც გამომდინარეობს მეპატრონის ქმედებებისგან, გათვალისწინებულ უნდა იქნას შედეგის თვალსაზრისით რამდენად მოდის შესაბამისობაში ეს ნება და ინტერესი მისთვის სარგებლის მოტანასთან. აღნიშნულის დადგენა ობიექტური ხასიათის კრიტერიუმებით უნდა შეფასდეს³³. კონკრეტულად ნების და ინტერესის არსებობა მეპატრონის მხრიდან ასევე მეპატრონის სუბიექტურ დამოკიდებულებას ასახავს^[34]. მისი ობიექტურობაში გადატანა მხოლოდ და მხოლოდ მეპატრონის წარმოდგენით ვერ მოხდება. არსებობს მოსაზრება, რომ მეპატრონის ნების საწინააღმდეგო შესრულება გამართლებულად მაშინ ჩაითვლება, თუ მეპატრონის განსხვავებული ნების შესახებ ობიექტური თვალსაზრისით შემსრულებლისთვის ცნობილი არ არის^[35], თუმცა აღნიშნული გარკვეულწილად შეიძლება სადავო იყოს.

³⁰ Gehrlein, Bech'scher Online-Kommentar, § 677, Rn. 1

³¹ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 677Rn.50

³² ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 974. 6

³³ Ogonowski, Die Geschäftsführung ohne Auftrag nach österreichischem Rechte, 1877, S.20, 21

³⁴ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 677 Rn.51

³⁵ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 677 Rn.52

1.4 ნების არსი

ნება აღნიშნავს მეპატრონის უშუალო დამოკიდებულებას, მის ერთგვარ ინტერესს. ნების არსებობა მნიშვნელოვანია შემსრულებლისთვის იმ თვალსაზრისით, რომ მან ამის შესახებ იცოდეს, როდესაც ასრულებს მეპატრონის საქმეს^[36]. აუცილებლობას არ წარმოადგენს, რომ შემსრულებელმა სწორედ მეპატრონის ამ არსებული ნების შესაბამისად იმოქმედოს^[37], თუმცა გარკვეულწილად ბევრ ფაქტორზე შეიძლება მოახდინოს ამაზე გავლენა. ნება შესაძლებელია ასევე გამოიხატებოდეს კონკლუდენტურად, არამხოლოდ სიტყვიერად. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში, კონკლუდენტურ ნებად იქნა მიჩნეული ქირავნობის ხელშეკრულების ფარგლებში დამქირვებლის მიერ კაპიტალური რემონტის ხარჯების გაწევის შემთხვევა, როდესაც დამქირვებელმა იცოდა სარემონტო სამუშაოების შესახებ და არ გამოუთქვამს პრეტენზია^[38]. აღნიშნული ცხადყოფს, რომ მართალია მეპატრონემ იცის, რომ რეალურად შემსრულებელი მოქმედებს მის ქონების მიმართ, თუმცა ამ ფაქტის ცოდნა არ ნიშნავს, რომ მისი ნება გამოხატულია და მისაღებია. ანუ ამას კონკლუდენტური ხასიათი მაშინ ექნება, როცა იგი გაცნობიერებული იქნება იმაში, რომ საქმის შესრულებით წარმოშობილი ხარჯები მას ეკისრება^[39]. ნების არსებობის დროს საქმის შესრულება არ არის აუცილებელი შეესაბამებოდეს რაციონალურად დასაბუთებად ობიექტური სარგებლიანობის კრიტერიუმებს^[40]. შესაბამისად, გარკვეულწილად, ობიექტურად მეპატრონის ინტერესების საწინააღმდეგო საქმის შესრულების კისრებაც შეიძლება იყოს ნების შესაბამისი და გამართლებული^[41].

³⁶ Gehrlein, Bech'scher Online-Kommentar, § 683, Rn.9

³⁷ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 683Rn. 9

³⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა N ას-109-107-2011, 7 აპრილი, 2011

³⁹ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 685, Rn.4-6

⁴⁰ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 974. 11

⁴¹ იქვე, 11

1.5 ნების საწინააღმდეგო შესრულების გამართლება

ნამდვილად რთული წარმოსადგენია შემთხვევა, როდესაც საქმის შესრულება მეპატრონის გამოხატულ ნებას სცდება, თუმცა მაინც მისი ინტერესის შესაბამის საქმის შესრულებად გვევლინება. როდესაც შემსრულებელი მეპატრონის პასუხისმგებლობის სფეროდან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების მიზნით იღებს ზომებს და ისე მოქმედებს, მიუხედავად მეპატრონის საწინააღმდეგო ნებისა, შემსრულებლის ეს ქმედება გამართლებულად ჩაითვლება, რადგან ამ ქმედების შედეგობრიობის თვალსაზრისით მეპატრონეს სცდება იმაზე მეტი ზიანი ვიდრე ეს გამოხატულია მისი ამჟამინდელი ნების არსებობით, რაც საბოლოოდ ასევე მისი საპასუხისმგებლო საკითხი გახდებოდა^[42].

1.6 ინტერესის არსი

დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მოწესრიგების მნიშვნელობა განსაკუთრებით იმ შემთხვევაში იკვეთება, როდესაც შემსრულებელი მოქმედებს მეპატრონის სავარაუდო ინტერესებში, მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოხატული ნება არ არსებობს^[43]. ანუ გამოდის, რომ ნების არსებობა გადადის უკანა პლანზე და წინ უპირატესად მეპატრონის ინტერესი გვევლინება, რომელიც ობიექტურად გამართლებულია და სარგებლის მომტანი მისთვის^[44].

⁴² Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 680 Rn.3.

⁴³ Ogonowski, Die Geschäftsführung ohne auftrag nach österreichischem Rechte, 1877, S.21

⁴⁴ იქვე, 21

1.7 სარგებლის ობიექტური განსაზღვრება

როდესაც საუბარია მეპატრონის ინტერესზე მასთან მიმართებით აუცილებელია შეფასდეს ასევე მისი ნებაც.^[45] ნება იმ თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი, რომ, როდესაც საქმე ეხება ინტერესის უპირატესობას აქ უნდა დადგინდეს მეპატრონის სავარაუდო განწყობა შემსრულებლის მიერ მისი საქმის შესრულებასთან დაკავშირებით, ანუ რამდენად მოიწონებდა ის შემსრულებლის შესრულებას^[46]. როდესაც ობიექტურად ფასდება მეპატრონის ზოგადი ინტერესი ეს მიემართება იმისკენ, რომ აღნიშნული ინტერესის არსებობა დაკავშირებული უნდა იყოს მეპატრონისთვის სარგებლის მოტანაში და არა მხოლოდ უბრალოდ მისი ნების შესრულებაში. ამ სარგებელში მოიაზრება არა მარტო რაიმე ქონებრივი სარგებელი არამედ თავად შესაძლო ზიანის თავიდან აცილების საკითხიც, რომელიც შესაძლოა მეპატრონეს ემუქრებოდეს^[47]. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მეპატრონის ნების შეფასებისას აუცილებელია არა მარტო ობიექტური კრიტერიუმის განსაზღვრა არამედ სუბიექტურისაც, მაგალითისთვის ეს შესაძლოა იყოს მეპატრონის ოჯახური მდგომარეობა, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა^[48]. ამ გარემოებათა გათვალისწინების შემთხვევაში შესაძლოა მივიღოთ ისეთი მოცემულობა, რომ ობიექტურად სარგებლის მომტანი საქმის შესრულება კონკრეტულ შემთხვევებში სულაც არ ჩაითვალოს რეალურად სარგებლის მომტანად^[49]. ცალკეულ შემთხვევებში მიზანშეწონილია ასევე ინტერესის შეფასებისას მოხდეს მოსალოდნელი საფრთხის და წარმოშობილ ზიანს შორის აწონდაწონვა^[50].

2. ცალკეული შემთხვევები

2.1 მეპატრონის ვალის გასტუმრება

შემსრულებლის მიერ მეპატრონის ვალის გასტუმრება, როგორც წესი მეპატრონის ინტერესს შეესაბამება, თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევები,

⁴⁵ ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მეოთხე წიგნი, მეორე ტომი, 2001, 974-ე მუხლი, გვ. 350.

⁴⁶ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 683Rn.10

⁴⁷ Ogonowski, Die Geschäftsführung ohne auftrag nach österreichischem Rechte, 1877, S.22

⁴⁸ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 683Rn. 4

⁴⁹ იქვე, 4

⁵⁰ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 974. 20

როცა ეს ასე არ ხდება, მაგალითად, როდესაც საქმე გვაქვს მოთხოვნის ხანდაზმულობასთან^[51] ან ისეთ შემთხვევასთან, როდესაც რეალურად მოთხოვნა ხანდაზმული არ არის, თუმცა ის ძალიან მალე გახდება ხანდაზმული^[52]. ასევე თუკი გვაქვს ისეთი შემთხვევა, როდესაც მეპატრონეს მისი კრედიტორის წინაშე აქვს ისეთი მოთხოვნა - შესაგებელი, რომელიც მისი მხრიდან შესრულების ვალდებულებას ხანგრძლივი დროით გამოორიცხავს^[53]. ნებისმიერი შესრულება, რომელიც მეპატრონის მდგომარეობას გააუარესებს შესაძლოა მისი ინტერესის საწინააღმდეგო შესრულებად ჩაითვალოს^[54], რადგან ინტერესის არსებობა პირდაპირ კავშირშია ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით მეპატრონის მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ, თუნდაც ამით იგი განიცდიდეს იმ მომენტში რაიმე სახის დანაკლისს.

2.2 სხვის ქონებაზე ხარჯის გაწევა

ხშირად არის ისეთი შემთხვევები, როდესაც შემსრულებელი ასე ვთქვათ ხარჯებს წევს მეპატრონის ქონებაზე. ამ ხარჯების გაწევა და ზოგადად სხვისი ქონებისთვის მოქმედებების განხორციელება ობიექტურად იმ შემთხვევაშია მიღებადი, როდესაც მესაკუთრეს თავადაც კი გაუჩნდებოდა სურვილი, რომ იგივენაირად ემოქმედა. შესაბამისად აღნიშნული სახის ქმედება პირდაპირ კავშირშია მეპატრონის ინტერესების შესაბამის ქმედებასთან და ეს უნდა ჩაითვალოს მეპატრონის ინტერესების შესაბამის საქმის შესრულებად. უფრო ნათელი, რომ იყოს დაახლოებით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი შემთხვევები, როდესაც საქმე გვაქვს ხანძრის გავრცელების საფრთხესთან. ამ დროს შემსრულებელი მოქმედებს ამ ხანძრის გავრცელების თავიდან აცილებისთვის, ეს კი პირდაპირ კავშირშია მეპატრონის ინტერესთან, რადგან ამ მომენტში ისიც ამგვარად მოიქცეოდა. ასევე, როდესაც შემსრულებელი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზარალებულ პირის ეხმარება, ეს ქმედებაც მეპატრონის ინტერესების ფარგლებში უნდა განვიხილოთ, რადგან ასეთ მდგომარეობაში მეპატრონეც ანალოგიურად მოიქცეოდა, ვინაიდან, რომ არა გაწეული დახმარება შესაძლოა მიგვეღო სხვა გაუთვალისწინებელი შედეგები, რაც, როგორც მეპატრონის

⁵¹Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 683Rn. 6

⁵² იქვე, 6

⁵³ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 974. 21

⁵⁴ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 683Rn. 6

ნებაზე ისე მის ინტერესზე უარყოფით გავლენას იქონიებდა. ასევე მსგავს მაგალითებში შეიძლება მოვიხილოთ მეპატრონის ცხოველების გამოკვება, მისი ნივთის შენახვა და ასე შემდეგ^[55]. აღნიშნულ პრობლემების არსებობისას ეჭვ გარეშეა, რომ, მეპატრონეც მოახდენდა შემსრულებლის მიერ გაწეული მოქმედებების ერთგვარ გამეორებას და ანალოგიურად მოიქცეოდა იმ მომენტში იმ საჭიროებების აღმოსაფხვრელად. თუმცა ამას გარდა შეიძლება შევხვდეთ ისეთ შემთხვევასაც, როდესაც რეალურად შემსრულებელი მოქმედებდეს მეპატრონის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმ თვალსაზრისით, რომ ეს მოქმედება იწვევდეს დამატებითი ხარჯების დაკისრებას მისთვის. მაგალითად გერმანულ ლიტერატურაში ვხვდებით მოსაზრებას, რომ, როდესაც საქმე გვაქვს ავტოსაგზაო შემთხვევასთან, რომელმაც გამოიწვია მეპატრონის კუთვნილი ქონების - ავტომობილის დაზიანება და შემსრულებელს ის გადაყავს ფასიან ავტოსადგომზე, რომლის გამოც მეპატრონეს უწევს თანხების გადახდა, რა თანხებიც რეალურად მისი ქონების ღირებულებასაც კი სცდება^[56], ეს ვერ ჩაითვლება მისი ინტერესების შესაბამის მოქმედებად, პირიქით ეს ჩაითვლება მისი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად. ასევე, როდესაც შემსრულებელი ახდენს მეპატრონის დაზიანებული ქონების შეკეთებას, რომლის აუცილებლობაც რეალურად არ არსებობს^[57] და თანაც დაკავშირებულია საკმაოდ დიდ თანხებთან, ესეც ჩაითვლება მეპატრონის ინტერესის საწინააღმდეგო შესრულებად.

2.3 საჯარო ინტერესის მნიშვნელობა

მეპატრონის გამოხატული ან სავარაუდო ნება მეპატრონის ინტერესის დადგენისთვის ყოველთვის უპირატესად გასათვალისწინებელი წინაპირობა არ არის^[58]. სსკ-ის 974-ე მუხლში პირდაპირ არის გათვალისწინებული შემთხვევა, როცა დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება გამართლებულად ითვლება იმ პირობებშიც, როდესაც სახეზეა მეპატრონის ნებისა და ინტერესის საწინააღმდეგო ქმედება. ეს მაშინ, როცა შემსრულებლის ქმედებები კანონის ნორმებთან შესაბამისობაში მოდის. ლეგიტიმური მიზანი როგორც წესი ამართლებს ნების გარეშე სხვისი საქმის შესრულებას^[59].

⁵⁵ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 683Rn. 7

⁵⁶ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 683Rn. 7

⁵⁷ იქვე, 7

⁵⁸ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 974. 24

⁵⁹ Ogonski, Die Geschäftsführung ohne auftrag nach österreichischem Rechte, 1877, S.18, 19

ლეგიტიმური მიზნის გამართლებულობა გამოწვეული შეიძლება იყოს, როგორც ვთქვათ კანონის დანაწესით, ისე თავად საჯარო ინტერესის არსებობით.

გერმანულ სამართალში დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების ნორმებში პირდაპირაა მითითებული კანონით გათვალისწინებული ის შემთხვევა, რომელიც მეპატრონის ნებასა და ინტერესზე მაღლა დგას^[60]. კერძოდ გსკ-ის 979-ე პარაგრაფის შესაბამისად მეპატრონის ნება და ინტერესი უმნიშვნელოა, თუ არსებობს მეპატრონის მიერ სხვა პირთა რჩენისა და მათზე ზრუნვის ვალდებულება, რომელიც დროულად არ შესრულდებოდა. გერმანული დოქტრინის თანახმად ზრუნვისა და რჩენის ვალდებულება არ ვრცელდება დელიქტისა თუ ხელშეკრულების საფუძელზე წარმოშობილ ვალდებულებებზე^[61]. აღნიშნული შემთხვევა სსკ-ის 974-ე მუხლის ფართო ფორმულირების შესაბამისად უდავოდ ექცევა კანონით გათვალისწინებულ ნორმათა რიცხვში, ვინაიდან ეს ნორმები მეპატრონის კანონით დადგენილ ვალდებულებას ითვალისწინებს.

კანონისა და საჯარო ინტერესების მიჯნაზე კლასიკურ სადავო მაგალითად გემრანულ დოქტრინაში განიხილება თვითმკვლელის გადარჩენა, როორც სხვისი საქმის გამართლებული შესრულება დავალების გარეშე^[62].

გსკ, ნებისა და ინტერესის საწინააღმდეგო გამართლებულ შესრულებად ითვალისწინებს სხვისი საქმის შესრულებას, რომელიც საჯარო ინტერესის დაცვას ემსახურება. საჯარო ინტერესის შეფასება გერმანული სამართლის მიხედვით ხდება არა განყენებულად, არამედ არსებული ვითარების გათვალისწინებით^[63]. კერძოდ კონკრეტულ შემთხვევაში გამართლებულად ჩაითვლება შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს შემსრულებლის მხრიდან მოქმედების განსაკუთრებული, მნიშვნელოვანი და გადაუდებელი ინტერესი. ასეთ შემთხვევას განეკუთვნება მაგალითი, როდესაც საქმის შეუსრულებლობით მნიშვნელოვანი საფრთხე ექმნება სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, მატერიალურ თუ სხვა სამართლებრივად

⁶⁰ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 974. 26

⁶¹ იქვე, 26

⁶² ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მეოთხე წიგნი, მეორე ტომი, 2001, 974-ემუხლი, გვ. 351

⁶³ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 974. 31

დაცულ სიკეთეს⁶⁴. ხშირს შემთხვევაში მათ შრომის განუსაზღვრელ პირთა წრესა და რაოდენობას⁶⁵.

2.4 შემსრულებლის მიერ ხარჯების ანაზღაურება

ზოგადი წესის მიხედვით სსკ-ის 974-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ფორმულირების გათვალისწინებით დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება გამართლებულია და შემსრულებელს წარმოეშობა ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვისი საქმის შესრულება მეპატრონის ნებასა თუ ინტერესს შეესაბამება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ითვალისწინებს გამონაკლისს, როდესაც ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა წარმოიშობა მიუხედავად მეპატრონის ნებისა თუ ინტერესის არ არსებობისას, როდესაც ის კანონით დადგენილ აკრძალვას ეწინააღმდეგება. მიუხედავად იმისა, რომ ხარჯები და ზიანი არსებითად იმიჯნება ერთმანეთისგან⁶⁶, მუხლის მიზნის გათვალისწინებით გამართლებულია ამ მუხლის შემადგენლობის გათვალისწინებით ხარჯების ანაზღაურებისათან ერთად გამოირიცხოს სსკ-ის 970-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შემსრულებლის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

2.5 შემსრულებლის მიერ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება

სსკ-ის 974-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დამფუძნებელ მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს იმ შემთხვევაში თუ არსებობს სსკ 974-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა. ამასთან არ არსებობს 974-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გამომრიცხავი საფუძველები.

შემსრულებელი ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებით მიყენებული ზიანი მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას შეეძლო სცოდნოდა, რომ შესრულება არ შეესაბამება მეპატრონის ნებასა თუ ინტერესს და ასევე არს სსკ-ის 974-ემუხლის მე-2 ნაწილის გამონაკლისია სახეზე. რამდენად შეეძლო

⁶⁴ იქვე, 31

⁶⁵ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 679, Rn.5

⁶⁶ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 683Rn. 18

სცოდნოდა შემსრულებელს ამის შესახებ, ცალკეულ შემთხვევაში აუცილებელია მოხდეს შეფასება და სწორად განსაზღვრა. თუმცა ზოგადი სტანდარტის მიხედვით ცოდნის შესაძლებლობა მოიცავს პირის მიერ ბრუნვაში დამკვიდრებული ყურადღებიანობის ვალდებულების ბრალეულ დარღვევას, მის უგულებელყოფას გაუფრთხილებლობის⁶⁷.

დასაფიქრებელია, რამდენად გამორიცხავს აღნიშნული მოწესრიგება 970-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემსრულებლის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ შემადგენლობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ შემსრულებლის მიერ მკვატრონის ნებისა თუ ინტერესის უგულებელყოფა მსუბუქი გაუფრთხილებლობით მოხდა.

3. ნამდვილი არამართებული შესრულება

ნამდვილი არამართებული შესრულება სიტყვასიტყვით, რომ განვმარტოთ ნიშნავს, იმას, რომ შემსრულებელი მოქმედებს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების დაცვით, თუმცა მისი განზრახვა თანხვედრაში არ მოდის მეკატრონის ინტერესებთან, ანუ ეს შესრულება ეწინააღმდეგება მის ნებას ან ინტერესს, რაც გსკ 677-ე მუხლის მიხედვით არ არის სწორი⁶⁸. ნამდვილი არამართებული შესრულების შედეგად ვიღებთ ასეთ მოცემულობას, რომ მეკატრონის მიერ შესრულების შედეგად შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მიღებულის დაბრუნება და დანახარჯების ანაზღაურება⁶⁹. თავისხმრივ შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ თავად შემსრულებელს ჰქონდეს გარკვეული მოთხოვნების წაყენების უფლება მეკატრონის მიმართ. ნამდვილ არამართებულ შესრულებასთან დაკავშირებით ეს საკითხი შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელოვნად, სხვა მხრივ მართებულობასა და ნამდვილობასთან მიმართებით ზემოთ ვისაუბრეთ და აქ აღარ განვმეორდები. დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებში, როგორც აღვნიშნეთ, შესაძლებელია შემსრულებელს ჰქონდეს მეკატრონესგან რაიმეს მოთხოვნის უფლება, რაც შესაძლოა გამოიხატებოდეს ვთქვამთ დანახარჯების ანაზღაურებაში ან სულაც ზიანის ანაზღაურებაში. ნამდვილი არამართებული შესრულების დროს გარკვეულწილად ზიანის ანაზღაურებასთან ან თუნდაც დანახარჯების ანაზღაურებასთან

⁶⁷ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 678, Rn. 6

⁶⁸ Reiner Schulze, Pflichten des Geschäftsführers, Bürgerliches Gesetzbuch, 10. Auflage 2019, § 677 Rn. 1

⁶⁹ Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Auflage 2020, § 684 Rn. 1,2

დაკავშირებით სხვადასხვა დაშვება შეიძლება არსებობდეს. მაგალითად, სსკ 973-ე მუხლის დროს 974-ე მუხლის 1 ნაწილთან ერთად დანახარჯების მოთხოვნის უფლება ნამდვილი არამართებული შესრულების დროს შემსრულებელს ვერ ექნება^[70]. შინაარსობრივად, რომ განვმარტოთ ეს ნორმები, 973-ე მუხლის მიხედვით შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული.

კარგი იქნება თუ გამოვარკვევთ და რამდენიმე სიტყვით შევეხებით ხარჯების თემას, თუ რა მოიაზრება მასში. ხარჯები ამ საკითხთან მიმართებით შეიძლება იყოს შემსრულებლის მიერ მისი ნებით გაღებული ქონებრივი სიკეთე^[71], რომელიც ერთგვარ გავლენას ახდენს მის ქონებრივ მდგომარეობაზე ნეგატიური კუთხით^[72]. ხარჯებს და ზიანს შორის მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი ისაა, რომ ზიანი ეს არის არანებაყოფლობითი დანაკარგი, რომელიც დაზარალებულის ნების გარეშე დგება^[73]. ზოგადად ხარჯებში ბევრი რამ შეიძლება გამოიხატოს, ეს შეიძლება იყოს ნებისმიერი საყოფაცხოვრებო თუ სხვა ქმედება, რომელიც განხორციელდება შემსრულებლის მიერ მეპატრონის სასიკეთოდ. გერმანულ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში ხარჯებად, როგორც წესი არ მიიჩნევა შემსრულებლის მიერ დახარჯული სამუშაო დრო, მიუღებელი შემოსავალი ან დასაქმებულის შრომა^[74].

ასევე მნიშვნელოვანია ზემოხსენებულ მუხლში მოხსენიებული აუცილებლობის განსაზღვრება. აღნიშნული ადგენს გარკვეულ ფარგლებს, რომლის საზღვრებშიც შესაძლებელია პირს ჰქონდეს უფლება მოითხოვოს ხარჯების ანაზღაურება. ანუ პირს შეუძლია მხოლოდ იმ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომლებიც მიჩნეულია აუცილებლად. თავისმხრივ, როდესაც ხდება ამ საკითხებზე მსჯელობა ასევე აუცილებელია შეფასდეს აუცილებლობის ხარისხი. გასაგებია ის, რომ ამ გაწეული ხარჯებით შემსრულებელი ასრულებს მეპატრონისთვის სასიკეთოდ - პოზიტიური შედეგის დამდგომ მოქმედებას. აუცილებლობის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები. ამ ფაქტორების შეფასება სხვადასხვა შემთხვევის მიმართ შესაძლებელია სხვადასხვანაირად წარიმართოს. სუბიექტური ფაქტორისთვის

⁷⁰ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ჟურნალი, დავალების გარეშე „ასევე“ სხვისი საქმის შესრულება და მეპატრონის ნების საწინააღმდეგოდ შესრულება, 1/2020. გვ. 54

⁷¹ Detlev, Fischer, Beck'scher Online-Kommentar, § 670, Rn. 5.

⁷² Münchener Kommentar zum BGB, Seiler, § 670, 6. Auflage, 2012, Rn.6

⁷³ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 973. 2.

⁷⁴ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 973. 4.

მნიშვნელოვანია შეფასდეს ის გარემოებები, რომელშიც უშუალოდ შემსრულებელი იმყოფებოდა, როცა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების საფუძელზე მოქმედებდა^[75]. მნიშვნელოვანია ასევე შემფასებლის მდგომარეობა ამ ფაქტორების შეფასების მომენტში, მიჩნეულია და ზოგადად ლოგიკურადაც სწორია, რომ, როდესაც იმის შეფასება ხდება, თუ რა პირობებში მოხდა შემსრულებლის მიერ ხარჯების გაღება აუცილებელია ეს პირობები და გარემოებები საღად მოაზროვნე პირმა შეაფასოს, რათა დაცულ იქნეს ობიექტური შეფასების ერთგვარი კრიტერიუმი^[76]. ხარჯების აუცილებლობის შეფასებისას გადამწყვეტია არა ის, თუ როგორ შეაფასა შემსრულებელმა არსებული გარემოებები, არამედ როგორ შეაფასებდა რაციონალურად მოაზროვნე პირი არსებულ გარემოებებს გულისხმიერი, გონივრული და საგულდაგულო შემოწმების შემთხვევაში^[77]. ყოველი გარემოების შეფასებისას მნიშვნელოვანია შემფასებელმა ყურადღება გაამახვილოს საქმის შესრულების არსზე, რამდენად სპეციფიკური სამუშაოა, როგორ არის მიმართული ხარჯებთან ის, ასევე არის თუ არა გარკვეული რისკები ამ სამუშაოს შესრულებისას და ასე შემდეგ^[78].

ზიანის ანაზღაურებას და დანახარჯების ანაზღაურებას, რომ დავუბრუნდეთ ზემოხსენებულ მუხლებთან ერთად აუცილებელია ყურადღება გავმახვილოთ სსკ 970 მუხლის მეორე ნაწილზე, რომელიც ამბობს, რომ შემსრულებელს, რომელსაც ზიანი მიადგა იმ საფრთხის თავიდან აცილებისას, რომელიც რეალურად ემუქრებოდა სხვა პირს ან ქონებას, ხოლო საფრთხის თავიდან აცილება არ შეადგენდა შემსრულებლის სამართლებრივ მოვალეობას, უნდა აუნაზღაურდეს ზიანი იმ პირისაგან, რომელმაც შექმნა საფრთხე, ან იმ პირისაგან, რომლის სიკეთის გადარჩენასაც შემსრულებელი ცდილობდა. ერთისმხრივ სსკ 970 მუხლის მეორე ნაწილი შეიძლება გავიგოთ, როგორც 970-ე მუხლის პირველი ნაწილის დანამატი, მისი შებრუნებული ვარიანტი - 970-ე მუხლის პირველი ნაწილი მიზნად ისახავს შემსრულებლის პრივილეგირებას, როდესაც მას უწევს პასუხისმგებლობა მეპატრონის წინაშე, ხოლო მეორე ნაწილი ემსახურება იმავეს, ოღონდ საპირისპირო შემთხვევაში, როდესაც მეპატრონე პასუხს აგებს შემსრულებლის წინაშე^[79]. ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ 970-ე მუხლის პირველი ნაწილი მოქმედებს საქმეების არამართებულად შემსრულებლის შემთხვევაშიც, რაც შეგვიძლია

⁷⁵ Münchener Kommentar zum BGB, Seiler, § 670, 6. Auflage, 2012, Rn.9

⁷⁶ Detlev/Fischer, Beck'scher Online-Kommentar, § 670, Rn. 11

⁷⁷ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 973. 10

⁷⁸ Münchener Kommentar zum BGB, Seiler, § 670, 6. Auflage, 2012, Rn.9

⁷⁹ რუსიაშვილი, შედარებითი სამართლის ჟურნალი, დავალების გარეშე „ასევე“ სხვისი საქმის შესრულება და მეპატრონის ნების საწინააღმდეგოდ შესრულება, 1/2020. გვ. 54

ვთქვათ ასევე მეორე ნაწილზეც^[80], თუმცა ვფიქრობ, რომ 970-ე მუხლის მეორე ნაწილი შესაძლოა ჩავთვალოთ პირველი ნაწილის დანამატად, მაგრამ არ უნდა გამოგვრჩეს 973-ე მუხლი, რადგან გარკვეულწილად, მიზნობრიობიდან გამომდინარე ეს ორი მუხლი უფრო მიემართება ერთმანეთს და შინაარსობრივად უფრო ემყარება ვიდრე 970-ე მუხლის პირველი ნაწილის შემთხვევაში. 970-ე მუხლის მეორე ნაწილი არის ფუნქციური ექვივალენტი 973-ე მუხლში მოწესრიგებული მოთხოვნისა და ემსახურება მხოლოდ ცნებების დონეზე ცხად დაყოფას და არა თვისობრივად ახალი მოთხოვნის შექმნას, რომელიც თანაბრად მიენიჭებოდა ორივე ტიპის შემსრულებელს^[81]. განსხვავებით ქართული სამართლისა, გერმანულ სამართალში დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების თავში საერთოდ არ ვხვდებით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას. საკითხები ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, როდესაც შესრულების შედეგად არის დამდგარი თუნდაც ტიპური ზიანი, გერმანიის შემთხვევაში ცალკე არ გვხვდება და ეს დანახარჯებში ერთიანდება. გერმანული მოდელის რეცეფციისას კანონში სიცხადის შემოტანის მიზნით გამოიყო ზიანის ანაზღაურების საფუძველი ცალკე, თუმცა კანონმდებლის განზრახვა არ უნდა მიდიოდეს ამ მიზნიდან სხვა მიმართულებით, ანუ არ უნდა ხდებოდეს ისე, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუზღუდავად ენიჭებოდეს როგორც მართებულ ისე არამართებულ შემსრულებელს^[82]. ზემოხსენებულ მუხლებთან დაკავშირებით ლიტერატურაში ვხვდებით საინტერესო დახასიათებას, კერძოდ იმას, რომ 973-ე მუხლით ანაზღაურდება დანახარჯები, როგორც ნებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი, ხოლო 970-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით ზიანი – არანებაყოფლობითი ქონებრივი მსხვერპლი^[83]. ნამდვილი არამართებული დავალების გარეშე შესრულების დროს შედეგის თვალსაზრისით ვიღებთ შემდეგ მოცემულობას, რომლის დროსაც შემსრულებელს აქვს უფლება მოითხოვოს მიღებულის უკან დაბრუნება, ხოლო მეპატრონეს აქვს უფლება უშუალოდ დამდგარი ზიანის ფარგლებში ამ ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.

⁸⁰ იქვე. 54

⁸¹ იქვე. 54

⁸² იქვე. 54

⁸³ იქვე. 54

IV. შემსრულებლის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების სპეციალური შემადგენლობა

როდესაც საქმე ეხება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებას, შემსრულებლის ქმედების შედეგობრიობა შეიძლება მიმართული იყოს მეპატრონისათვის საფრთხის თვიდან არიდებისკენ. რასაკვირველია, შემსრულებლის პასუხისმგებლობის საკითხი ამ შემთხვევისთვის უფრო დაბალი ხარისხით შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან მეორე მხარეს დგას მეპატრონისთვის საფრთხის თავიდან არიდება. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი სახის ერთგარი შემამსუბუქებელი სახის გარემოება რომის სამართლიდან იღებს სათავეებს^[84]. როდესაც პირი მოქმედებს ამ მიზნით ეს სულაც არ ნიშნავს, იმას, რომ შემსრულებლის მოქმედება - დავალების გარეშე იმოქმედოს, ერთგარად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს^[85]. ანუ არ არის აუცილებელი მსგავსი შემთხვევის არსებობა, რათა შემსრულებელმა თავი გამართლოს იმით, რომ ეს იყო გადამწყვეტი მიზეზი, მის მიერ ამ მოქმედების განხორციელებისა. ცალსახაა, რომ საფრთხის თავიდან აცილების საკითხი შემსრულებლის პასუხისმგებლობის ხარისხს ამცირებს. გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ზოგადად განზრახვის და გაუფრთხილებლობის მიმართება ამგვარი შემცირებული პასუხისმგებლობის მიმართ ერთგვარ წახალისებას და სტიმულის მინიჭებას ემსახურება სხვა პირებისთვის, რათა სხვა გამოუვალ შემთხვევებში დახმარება აღმოუჩინონ მესამე პირებს^[86]. თუმცა საგულისხმოა ისიც, რომ ასეთი შემთხვევები საჭიროებენ სწრაფად მოქმედებას, რაც ერთგვარად ზრდის იმის რისკს, რომ მოხდეს სხვისი უფლებების შელახვა და კეთილი განზრახვით მისთვის ზიანის მიყენება^[87].

ვთანხმდებით იმაზე, რომ შემსრულებლის სასიკეთო მდგომარეობაში აღმოსაჩენად, ვგულისხმობ 970-ე მუხლის პირველი ნაწილის მასზე გავრცელებას, აუცილებელია მის რეალურ მიზანს მეპატრონისთვის საფრთხის თვიდან აცილება წარმოადგენდეს. აქ საგულისხმოა საფრთხის ცნება, კერძოდ ის, რომ განსხვავებით გერმანული რეგულირებისაგან,

⁸⁴ Ogonowski, Die Geschäftsführung ohne auftrag nach österreichischem Rechte, 1877, S.52-53

⁸⁵ იქვე. 56

⁸⁶ Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Geschäftsführung zur Gefahrenabwehr, Auflage 2020, § 680 Rn. 1

⁸⁷ იქვე. 1

რომელიც უკიდურეს საფრთხეზე საუბრობს, სსკ მხოლოდ საფრთხეს ასახელებს შემადგენლობის წინაპირობად^[88].

1. საფრთხე

ზოგადად, საფრთხე არსებობს მაშინ, როდესაც სახეზეა ალბათობა იმისა, რომ დახმარების და მოქმედების გარეშე იგი აუცილებლად დადგება^[89]. ანუ საფრთხე მაშინაა სახეზე, როდესაც შემსრულებლის მიერ განსახორციელებელი ქმედების გარეშე დაზიანდება მეპატრონის ინტერესი, ქონება ან სხვა ისეთი რამ, რაც მასთან არის შემხებლობაში^[90]. მაგალითად, როდესაც სახეზე გვაქვს საგზაო შემთხვევა და დახმარებას ვუწვევთ შემთხვევის მონაწილეს, რომლის ჯანმრთელობა შესაძლოა დაზიანდეს, თუკი არ დავეხმარებით. როდესაც პირი იმყოფება საცურაო აუზში და უეცრად დაჭირდება დახმარების აღმოჩენა, რადგან ვეღარ ძლებს წყალში^[91] და ასე შემდეგ.

2. მეპატრონე

მნიშვნელოვანია საფრთხის განსაზღვრებასთან დაკავშირებით თავად მეპატრონის ცნებაც. ვინ შეიძლება იყოს მეპატრონე და საფრთხე ვისზე და რაზე უნდა გავრცელდეს. როგორც წესი, საფრთხე შეიძლება მიადგეს მეპატრონის პიროვნებას და მის ქონებას. პიროვნებაში შეიძლება მოიაზრობოდეს დამატებით იმ ადამიანთა მიმართ დამდგარი საფრთხე, რომლებიც ამ მეპატრონესთან მჭიდრო კავშირში არიან, ესენი შეიძლება იყვნენ ნათესავები, ახლობლები და ასე შემდეგ^[92]. ეს ზემოხსენებული აზრი გამოთქმულია გერმანულ დოქტრინაში, თუმცა აქვე ვხვდებით იმ აზრსაც, რომ მეპატრონის ოჯახსა და მის ახლობლებს, რომ ეხებოდეს საფრთხე ეს არ უნდა იქნეს გათვალისწინებული და ეს დასაშვებია მხოლოდ იმ ადამიანთა მიმართ, რომლების რჩენის მოვალეობაც აკისრია მეპატრონეს^[93]. ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ პირველი მოსაზრება, რომელიც მეპატრონესთან მჭიდრო

⁸⁸ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 970. 4

⁸⁹Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Geschäftsführung zur Gefahrenabwehr, Auflage 2020, § 680, Rn. 5

⁹⁰ იქვე. 5

⁹¹ იქვე. 5

⁹² Mansel Jauernig, Bürgerliches Gesetzbuch 18. Auflage 2021, § 680 Rn. 2

⁹³ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 970. 7; Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 680 Rn.3

კავშირში მყოფ ადამიანებს ეხება უფრო ლოგიკური და მართებულია ვიდრე მეორე მოსაზრება ვინაიდან, რჩენის მოვალეობის არსებობა არ უნდა იყოს გადაწყვეტი ფაქტორი საფრთხის მნიშვნელობის განსაზღვრისთვის.

3. მოქმედება, რომელიც მიმართულია საფრთხის თავიდან აცილებისკენ

ეს მუხლი (970) ითვალისწინებს საფრთხის არსებობას მეპატრონის მიმართ, რომელსაც შემდგომში შეუძლია ერთგვარად შეამსუბუქოს გარკვეული პირობების არსებობისას პასუხისმგებლობის საკითხი. კანონის ჩანაწერში ვკითხულობთ, რომ შესრულება უნდა იყოს მიმართული საფრთხის თავიდან აცილებისკენ. ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებლობას არ წარმოადგენს შემსრულებლის მიერ განხორციელებულ ქმედებას საფრთხის თავიდან აცილება მოყვეს, რათა ამ კანონის მოქმედება მასზე გავრცელდეს. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ მოქმედი პირი საქმეს ასრულებდეს იმ განზრახვით, რომ მის ქმედებას საფრთხის თავიდან აცილება მოყვება, ანუ ეს შესრულება უნდა გამოიხატებოდეს შესაბამისი საშუალებით, რათა ის ამ კანონის ფარგლებში მოექცეს⁹⁴. ასევე საინტერესოა ის გარემოებაც, რომ შემსრულებლის მიერ შერჩეულ ხერხი საფრთხის თავიდან აცილებისა უნდა ჩაითვალოს თუ არა ყველაზე უფრო ადეკვატურ თუ მსუბუქ საშუალებად. ანუ ამ შემთხვევაში, განსხვავებით უკიდურესი აუცილებლობისა და აუცილებელი მოგერიებისა შერჩეული მოქმედების შეფასება, თუ რამდენად მეტ თუ ნაკლებ ზიანს გამოიწვევდა ის, არ ხდება⁹⁵. აღნიშნულის შეფასება, რომ მოხდარიყო, ვფიქრობ, აზრი დაეკარგებოდა მუხლის მიზანს და რეალურად ის ერთგვარი წახალისება, რომელიც პირს აძლევს ბიძგს დაეხმაროს მესამე პირს და მას საფრთხე აარიდოს, რაც ასე ვთქვათ განპირობებულია პასუხისმგებლობის შემცირებით, საერთოდ დაიკარგებოდა.

4. შეცდომით საფრთხის არსებობის ვარაუდი

პრაქტიკაში ვხვდებით ისეთ შემთხვევებს, როდესაც საერთოდ არ გვაქვს საქმე საფრთხის არსებობასთან, თუმცა დავალების გარეშე შემსრულებლისთვის ეს საფრთხე გონებაში არსებობს და ამ განზრახვით იწყებს მოქმედებას, ანუ რეალურად შემსრულებელი ცდება და ჰგონია, რომ

⁹⁴ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 680 Rn.4

⁹⁵ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 970. 9

საფრთხე ემუქრება მეპატრონეს. მიუხედავად ამისა იმას ვერ ვიტყვით, რომ შემსრულებლის სუბიექტური შეხედულება საფრთხის არსებობასთან დაკავშირებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს. აქ აუცილებელია გარემოებები ობიექტურად მიემართებოდეს შემთხვევას იმ თვალსაზრისით, რომ საფრთხი არსებობის ნიშნები შეცნობადი იყოს და არ ტოვებდეს რაიმე ეჭვებს გარე თვალისთვის^[96]. თუმცა ამის გათვალისწინებით, შესაძლოა, შემსრულებელი ცდებოდეს პრობლემის არსში - საფრთხის არსებობის რეალურობაში, თუმცა თუკი ისეთი მოცემულობა ჩამოყალიბდა, რომ სახეზეა ობიექტურად შესაფასებელი გარემოებები, რომლებიც საფრთხის არსებობის ერთგვარ დაშვებას მაინც აკეთებენ შემსრულებელზე აქაც უნდა გავრცელდეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები. თუმცა ის დანაწესი, რაც 970-ე მუხლში გვხვდება, რომ პასუხისმგებლობის საკითხი დამოკიდებულია შემსრულებლის განზრახვასა და უხეშ გაუფრთხილებლობაზე ცოტა საკამათო შეიძლება გახადოს ესა თუ ის შემთხვევა. გამორკვევის თვალსაზრისით, რთულია შემსრულებლის განზრახვის ზუსტად განსაზღვრა, თუკი იგი მოქმედდა უხეშ გაუფრთხილებლობით და ისეთი მოცემულობა მივიღეთ^[97], რომ რეალურად სახეზე საფრთხე საერთოდ არ ყოფილა მაშინ რამდენად შეიძლება გავრცელდეს მასზე პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები. ზოგადად 970-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს ერთგვარ საგამონაკლისო წესებს, რაც მიმართულია უხეშ გაუფრთხილებლობასა და განზრახვიკსენ, ასეთ შემთხვევაში შემსრულებელს ეკისრება პასუხისმგებლობა მეპატრონის წინაშე^[98]. უხეშ გაუფრთხილებლობა არის ობიექტურად აუცილებელი წინდახედულების ვალდებულების განსაკუთრებით მძიმე დარღვევა^[99].

5. გაუფრთხილებლობა

კარგი იქნება, თუ რამდენიმე სიტყვით შევეხებით უხეშ გაუფრთხილებლობის მნიშვნელობის ამ ნორმასთან მიმართებას და ადგილს მისი მოქმედების ფარგლებში. უხეშ გაუფრთხილებლობის დროს, მოქმედი პირის ერთგვარი ვალდებულება წინდახედულება გამოიჩინოს მეპატრონის

⁹⁶ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 680 Rn.5

⁹⁷ Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Auflage 2020, § 680, Rn. 10

⁹⁸ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 970, 13

⁹⁹ იქვე, 14

ქონების თუ სხვა ინტერესის მიმართ უგულებელყოფილია^[100]. ამ უგულებელყოფის ხარისხი კი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს, რადგან სიტყვასიტყვითი განამრტებით ეს გაუფრთხილებლობა უხეშია, წინდახედულების გამოუჩენლობის ხარისხიც ასე ვთქვათ მაღალ ნიშნულს უნდა ეხებოდეს. ჩვენ ვახსენეთ მოქმედი პირის - შემსრულებლის სუბიექტური შეხედულება, კერძოდ, იმოქმედა და დაუშვა თუ არა პირმა უპატივბელი შეცდომა, ხომ არ იყო მის პიროვნებასთან დაკავშირებული რაიმე შემამსუბუქებელი გარემოება სახეზე. თუმცა, მხოლოდ ამ კრიტერიუმით რთულია მდგომარეობის შეფასება და პასუხისმგებლობის შემსუბუქების განსაზღვრა. ანუ აქ იგულისხმება ის, რომ ისევე როგორც ობიექტური შეხედულება, ასევე სუბიექტურის არანაკლები მნიშვნელობისაა ამ ნორმასთან მიმართებით^[101]. არსებობს გარკვეული პროფესიები, რომლების წარმომადგენლებსაც პასუხისმგებლობის გრძნობა და ერთგვარი წინდახედულების ხარისხი შედარებით უფრო მაღალ დონეზე უნდა ჰქონდეთ ვიდრე სხვა პროფესიის წარმომადგენლებს. მაგალითად ასეთები შეიძლება იყვნენ სასწრაფოს ექიმი, მაშველი და ასე შემდეგ^[102]. გერმანულ დოქტრინაში ვხვდებით მოსაზრებას, რომ სწორედ იმის გამო, რომ ეს ადამიანები მაღალი პასუხისმგებლობისა და განჭვრეტადობის მოთხოვნით მოქმედებენ მათ მიმართ მოქმედება ზემოხსენებული მუხლის მოქმედება არ უნდა შეიზღუდოს^[103]. შესაძლოა ნაწილობრივ გაუგებრად მოგვეჩვენოს ეს დაშვება და ვარაუდი, თუმცა ეს გამოწვეულია იმით, რომ, როდესაც ვთქვათ, ექიმი ახდენს დახმარების აღმოჩენას იმ პირის მიმართ, რომელიც უგონო მდგომარეობაში იმყოფება^[104], ეს მომენტი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების დროს პასუხისმგებლობის შემცირების თანმხლებ ვარიანტად უნდა განვიხილოთ^[105]. როდესაც პირი ასეთ მოცემულობაში ექცევა მისი ქმედებები ასე ვთქვათ უკვე გამოცდილი და განმეორებადია, შესაბამისად მისი ქცევა, რასაკვირველია, პასუხისმგებლობით არის გაჯერებული და წინდახედულებითაც, ესეც, რომ არა ასეთ დროს შემსრულებელი პირის იმ დროინდელ მდგომარეობის დადგომაში შემხებლობაში არ არის, ასე რომ მისი ქმედებები აღმოუჩინოს მას დახმარება არის მისი პროფესია და არა დაუფიქრებელი ნაბიჯი. გაუფრთხილებლობის შეფასებისას ასევე გასათვალისწინებელია კონკრეტული ვითარება, რომელიც შემსრულებელს

¹⁰⁰Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Auflage 2020, § 680, Rn. 10

¹⁰¹ იქვე, 10

¹⁰² Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 680 Rn.6

¹⁰³ Mansel Jauernig, Bürgerliches Gesetzbuch 18. Auflage 2021, § 680 Rn. 1

¹⁰⁴ Lippert, Rechtprobleme bei der Burchführung von Notarzt und Rettungsdienst, 1982, NJW 2093

¹⁰⁵ იქვე.

სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებისაკენ უბიძგებს^[106]. ასეთ ვითარებაში აუცილებელია, რომ პირმა სწორად განსაზღვროს შემთხვევის მდგომარეობა და არსი, ეს პირი უნდა განეკუთვნებოდეს შორიდან დამკვირვებელ სუბიექტს, რომელმაც იმით უნდა იხელმძღვანელოს, თუ როგორ იმოქმედებდა ის, თუკი ანალოგიურ მოცემულობაში აღმოჩნდებოდა^[107].

6. სამართლებრივი შედეგი

როდესაც სახეზე გვაქვს 970-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით ჩამოყალიბებული შემთხვევა, ასეთ დროს, რა თქმა უნდა, მოქმედებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, კერძოდ შემსრულებელს არ ეკისრება პასუხისმგებლობა, თუკი ის მოქმედებს გაუფრთხილებლობის ფარგლებში^[108], რომელიც არ უნდა სცდებოდეს გარკვეულ ზღვარს.

7. შემსრულებლისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, როგორც სპეციალური შემადგენლობა

მეპატრონეს შემსრულებლისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას ზოგადი წესის მიხედვით არ ეკისრება^[109]. სსკ-ის 970-ე მუხლის მეორე ნაწილი კი ზიანის ანაზღაურების სპეციალურ შემადგენლობას აწესრიგებს და დამოუკიდებელ მოთხოვნას სამართლებრივ საფუძველს ითვალისწინებს^[110]. მეპატრონე პასუხისმგებელია იმ ზიანისთვის, რომელიც შემსრულებელს საფრთხის თავიდან აცილებისას მიადგა, ასევე შემსრულებელს აქვს უფლება მაშინაც მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, როცა მეპატრონის ინტერესები ემთხვეოდა მისი მოქმედების მიზნებს, ანუ, როდესაც მეპატრონის ნება ემთხვევა შემსრულებლის მოქმედებას^[111]. ამ მუხლის ფარგლებში შემსრულებელს აქვს ალტერნატივა, იმ

¹⁰⁶ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 970, 17

¹⁰⁷ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 680 Rn.9

¹⁰⁸ Laufs/Katzenmeier/Lipp, Arztrecht 8. Auflage 2021 Rn. 56

¹⁰⁹ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 970, 20

¹¹⁰ იქვე, 20

¹¹¹ Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Ersatz von Aufwendungen , Auflage 2020, §683,Rn. 1

კუთხით, რომ მას უფლება აქვს ზიანის ანაზღაურება მოსთხოვოს როგორც უშუალოდ ზიანის მიმყენებელ პირს ასევე მეპატრონესაც, რომლის ინტერესებისთვისაც მოქმედებდა და რომლის გამოც მოხდა მისი ერთგვარი დაზიანება^[112]. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ გერმანულ სამართალში, როგორც აღვნიშნეთ არ გვხვდება შემსრულებლისთვის ზიანის ანაზღაურების შესახებ რაიმე სპეციალური ჩანაწერი, რაც მის შესახებ მოგვაწვდიდა ინფორმაციას. რეალურად შესაძლოა, როგორც ტერმინი და ნორამტიული ჩანაწერი ზიანის ანაზღაურებისა არ არსებობდეს, თუმცა მას მოიაზრებენ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნაში. სადავო გარემოებას განეკუთვნება ის, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს ხარჯების ანაზღაურებისა და ზიანის ანაზღაურების ურთიერთმიმართება ერთი მეორესთან, ანუ რა ზღვრამდე შეიძლება გავრცელდეს ხარჯების ანაზღაურება ზიანის ანაზღაურებაზე^[113].

ჩვენ კოდექსში არსებული ნორმის - 970-ე მუხლის მე-2 ნაწილის მსგავსი ნორმა გერმანულ სამართალში მართალია არ არსებობს, თუმცა გერმანულ ლიტერატურაში თანხმდებიან იმაზე, რომ ზოგადად ხარჯების ანაზღაურების შესახებ ნორმა უფრო ფართო განმარტებას მოითხოვს და სწორედ მასში უნდა მოიაზრებოდეს შემსრულებლის მიერ განხორციელებული სხვისი საქმიდან წარმოშობილი ყველანაირი ზიანი^[114]. თუმცა ეს ყველანაირი ზიანი არ შეიძლება გამოხატული იყოს მეპატრონისა და შემსრულებლის ნებისმიერი ქმედებით. აუცილებელია ის, რომ ასანაზღაურებელი ზიანი მიემართებოდეს მეპატრონისთვის რეალური საფრთხის თავიდან აცილებას, რაც გამოიხატება გადაუდებელი აუცილებლობის დროს საქმის შესრულებით^[115]. აუცილებლობით განპირობებული მეპატრონის საქმის შესრულებასთან მიმართებით, როცა საქმე ეხება ყოველდღიური ცხოვრების რისკთან დაკავშირებულ ზიანს, ამ ზიანის ერთგვარი კომპენსირება თავად შემსრულებელს ეკისრება^[116], რადგან ასეთ დროს უბრალოდ წარმოუდგენელია იმ მომენტში აუცილებლობით გამოწვეული ქმედების განხორციელება უშუალოდ მეპატრონის ქონებასთან ან ინტერესთან მიმართებით. ეს შემთხვევა უკავშირდება დაახლოებით ისეთ ვარიანტს, როდესაც შემსრულებელი გადაწყვეტს მეპატრონეს საფრთხე აარიდოს და დაიწყებს მისი ინტერესის მიმართ პოტენციურად მოქმედებას, თუმცა რეალურად ეს მოქმედება მეპატრონის ინტერესისთვის არ არის დაწყებული.

¹¹² Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 680, Rn.14

¹¹³ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 970, 24

¹¹⁴ Mansel Jauernig, Bürgerliches Gesetzbuch 18. Ersatz von Aufwendungen, Auflage 2021, §683 Rn. 6,7

¹¹⁵ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, Rn 18

¹¹⁶ იქვე, Rn 19

წარმოვიდგინოთ, რომ შემსრულებელი უბრალოდ გზავს და მესამე პირი დაეჯახება მის ავტომატურად, ასეთ დროს უნდა გამოირიცხოს მეპატრონის პასუხისმგებლობის საკითხი, ვინაიდან დამდგარი ზიანი მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით არის განპირობებული^[117].

¹¹⁷ Gehrlein BeckOK BGB, Hau/Poseck 58. Edition Stand: 01.05.2021, Ersatz von Aufwendungen, § 683, Rn. 2

V. 970-ე მუხლის შემადგენლობა

1. ზიანი და მიზეზობრივი კავშირი

1.1 ქონებრივი ზიანი

გერმანული დოქტრინის თანახმად მეპატრონეს ეკისრება მხოლოდ საქმიანობისათვის დამახასიათებელი¹¹⁸, სპეციალური რისკებით გამოწვეული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელიც უკიდურესი აუცილებლობითაა განპირობებული და საფრთხის თავიდან აცილებას ემსახურება¹¹⁹. 970-ე მუხლის მეორე ნაწილი ამტკიცებს ასე ვთქვათ შემსრულებლის ქმედების მართლზომიერებას და ერთგვარად დაცულია მისი ქმედების შედეგი, იმ კუთხით, რომ მას აქვს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. აღნიშნული ზიანი კი გამოწვეულია იმ საფრთხის თავიდან აცილების გამო, რაც რეალურად მეპატრონეს ემუქრებოდა.

1.2 არაქონებრივი ზიანი

რაც შეეხება არაქონებრივ ზიანს, ამ საკითხთან დაკავშირებით ზუსტი პასუხის გაცემა რთულია. რა შემთხვევაში შეიძლება შემსრულებელმა განიცადოს მორალური ზიანი? სავარაუდოდ აღნიშნული საკითხი უნდა შეფასდეს თითოეული შემთხვევისთვის ინდივიდუალურად, უნდა გაირკვეს და შესწავლილ იქნეს საქმეში არსებული გარემოებები და მხოლოდ ამის შემდგომ დადგინდეს იყო თუ არა სახეზე მორალური კუთხით ზიანის არსებობა.

1.3 მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირის დადგომა დაკავშირებულია ამ ნორმის ამოსავალ წერტილთან საფრთხის თავიდან აცილებასთან. ანუ თუკი გვექნება ისეთი შემთხვევა, როცა შემსრულებელი არ მოქმედებს მეპატრონისთვის

¹¹⁸ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 970, 29

¹¹⁹ Gehrlein, Beck'scher Online-Kommentar BGB, § 683, Rn. 4

საფრთხის თავიდან ასაცილებლად, მაშინ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა 970 მუხლით ვერ მოხდება^[120].

2. ცალკეული მაგალითები

ლიტერატურაში ვხვდებით მაგალითებს, რომლებიც უკავშირდება იმ პროფესიებს, რომლებიც ასევე განეკუთვნებიან საჯარო სამსახურს ან ისეთი ტიპის სამსახურს, რომლის პროფესიული ვალდებულებებიც მოიცავენ ადამიანთა დახმარებას და ზოგადად საჯარო ინტერესისთვის ბრძოლას^[121]. მაგალითად სახანძრო და სამაშველო სამსახური, გადაუდებელი დახმარების ექიმები, მედ პერსონალი და ასე შემდეგ. გერმანული სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ პირი რომელიც სახანძრო დახმარების სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც ხანძრის ჩაქრობისა და ადამიანების გადარჩენის მიზნით მოქმედებენ მაინც ასრულებენ დავალების გარეშე სხვის საქმეებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართალია ისინი საჯარო ინტერესს ემსახურებიან და ეს მათი ვალდებულებაა, მაგრამ მხოლოდ ამ ფაქტორით ისინი არ არიან შეზღუდულნი და ასე ვთქვათ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებულნი. ამ საჯარო ინტერესისთვის შესრულებული სამუშაო ავტომატურად მიემართება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისკენ, თანაც ისე, რომ გათვალისწინებულ იქნეს მეპატრონის ინტერესი^[122]. ამასთან დაკავშირებით გერმანულ დოქტრინის მიხედვით, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შესახებ ნორმების გამოყენება შესაძლებელია შეიზღუდოს ან გამოირიცხოს სპეციალური კანონმდებლობით^[123]. ლოგიკურად მსგავსი სპეციალური კანონის მოქმედება შეიძლება შეეხებოდეს კონკრეტულად პროფესიის წარმომადგენლის მიერ შესრულებული სამუშაოს დროს დამდგარი ზიანის ანაზღაურებას. მაგალითად, თუ კანონი აწესრიგებს სახანძრო სამაშველო სამსახურის თანამსლომლის მიერ შესრულებული სამუშაოს დროს დამდგარი ზიანის ანაზღაურებას, მაშინ დავალების გარეშე სხვისი საქმეების ნორმების გამოყენება გაუმართლებელი იქნება. თუმცა თუკი გვაქვს ისეთი შემთხვევა, როცა რაიმე სპეციალურ კანონში არ გვხვდება

¹²⁰ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 970, 32

¹²¹ Mansel Jauernig, Bürgerliches Gesetzbuch 18. Geschäftsführung zur Gefahrenabwehr, Auflage 2021, § 680, Rn. 1

¹²² იქვე, 1

¹²³ Franßen/Blatt, NJW 2012, 1031, Ersatzansprüche aus Geschäftsführung ohne Auftrag bei Feuerwehreinsatz

ვთქვათ ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხის მომწესრიგებელი ნორმა მაშინ შესაძლებელია გამართლებულ იქნეს დავალების გარეშე სხვისი საქმეების ნორმების გამოყენება. ეს იმიტომ არის ასე, რომ უპირველეს მიზანს კანონმდებლის წარმოადგენს დამდგარი ზიანის კომპენსირება ისე, რომ არ დარჩეს ეჭვის ქვეშ რაიმე საკითხი და პირმა არ იგრძნოს თავი არამართებულ მგომარეობაში^[124].

2.1 პირი, რომლის ინტერესებშიც მოქმედებს შემსრულებელი

როგორც აღვნიშნეთ, მეპატრონე შეიძლება იყოს პირი, რომლის ინტერესებსაც პირდაპირ ეხება შემსრულებლის მიერ შესასრულებელი მოქმედებები, რომლითაც შესაძლებელია დადგეს დადებითი ხასიათის შემცველი მოცემულობა ან პირიქით ნეგატიური^[125]. ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ 970-ე მუხლის მეორე ნაწილის ნორმატიულ შინაარსს. ამ ნორმიდან გამომდინარე ასევე მნიშვნელოვანია მეპატრონის როლის განსაზღვრება თითოეული შემთხვევისთვის. ყველა შემთხვევაში შემსრულებელი ამ მუხლის მიხედვით ექცევა მეპატრონის ინტერესების დაცვის ქვეშ. მაგალითი, რომ წარმოვიდგინოთ, ვთქვათ აღმართიდან დაგორდა მანქანა, რომლის შეჩერების შეუძლებლობის შემთხვევაში საფრთხე დაემუქრება სხვა გარეშე მესამე პირებს. რეალურად ამ დროს საფრთხეს ქმნის არა შემსრულებელი არამედ მეპატრონე^[126], ვინაიდან სწორედ მისი მანქანა გორდება აღმართიდან. შემსრულებელი უბრალოდ ცდილობს, როგორც მესამე პირთა ქონების დაზიანებას შეუშალოს ხელი ისე მეპატრონის ინტერესი დაიცვას და თავისხმრივ გადაარჩინოს ზიანის მიყენებისგან მისი ქონებაც.

¹²⁴ NJW 2012, 1088, OLG Hamm, Urt. V. 20.10.2011-6U 116/11

¹²⁵ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, § 677 Rn. 8

¹²⁶ FHZivR 28, Nr. 1754, OLG Köln, v. 27.1.82 2 U 76/81

VI. მეპატრონისთვის შეტყობინების ვალდებულება

შეტყობინების ვალდებულებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს 971-ე მუხლით. გერმანული სამოქალაქო კოდექსის შემთხვევაში აღნიშნული გათვალისწინებულია 681-ე მუხლით. უპირველესად, შეტყობინების ვალდებულების მიზანს შეიძლება წარმოადგენდეს მეპატრონის ინტერესის განსაზღვრა ანუ სურს თუ არა მას, რომ შემსრულებელი მოქმედებდეს მისი საქმისთვის. თუმცა შესაძლებელია, რომ შემსრულებლის განზრახვა არ იყოს მხოლოდ მეპატრონის ნების დადგენა. მაგალითად თუკი სახეზე გვექნება საფრთხე, ამ შემთხვევაში შემსრულებელი შესაძლოა ვერ დაელოდოს მეპატრონის პასუხს იმასთან დაკავშირებით მისის ქმედება ემთხვევა თუ არა მის ნებას, შესაბამისად შეტყობინების მიზანი ასე შეიძლება იყოს უბრალოდ მეპატრონის ინფორმირება, რომ ხდება საქმის შესრულება მისთვის^[127]. პირდაპირი გაგებით ზემოთ ხენებული სამწუხაროდ არ არის 971-ე მუხლში ნახსენები, თუმცა ამ დაკვანის გაკეთებას გვაძლევს 681-ე მუხლი, სადაც უფრო დაკონკრეტებულია შესაძლო შემთხვევა. საფრთხის არსებობა გარკვეულწილად ხელს უშლის ზიანის დადგომასა და არ დადგომის განსაზღვრას შეტყობინების თვალსაზრისით. მაგალითად მაშინ, როდესაც შემსრულებელი მოქმედებს და იმ მოცემულობაში შეტყობინების გარეშე ძირითადი მისი ვალდებულება ძალაში რჩება და ამით არ ირღვევა სამართლებრივი ურთიერთობა, თუმცა თუკი აღნიშნული ისეთი ფარგლებით განვითარდება, რომ სახეზე უკვე ზიანი დადგება და მივიღებთ დასკვნას, რომ შეტყობინების არსებობის შემთხვევაში იმ ზიანის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა^[128] მაშინ ვეღარ ვიტყვით, რომ შეუტყობინებლობა ძირითად ვალდებულებას აღარ არღვევს. ამგვარ შემთხვევაში ივარაუდება, რომ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება შემსრულებელს უდავოდ ეკისრებოდა^[129].

¹²⁷Gehrlein BeckOK BGB, Hau/Poseck 58. Nebenpflichten des Geschäftsführers, § 681, Rn. 2

¹²⁸ BGH Urteil vom 11.02.2004–VIII ZR 386/02 (OLG Saarbrücken), NJW, 2004, S. 1032.

¹²⁹ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 971, 2

1. შეტყობინების შესაძლო მომენტი

ზოგადად შეტყობინების მომენტად უნდა განისაზღვროს შემსრულებლის მიერ სხვისი საქმის შესრულების დაწყების მომენტიდან მისთვის შესაფერისი დრო, რომლის შერჩევაც არ გამოიწვევს გაუთვალისწინებელი ზიანის დადგომას^[130]. ამ მომენტის შერჩევის დროს და შემდგომ უკვე მისი შეფასებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები. ობიექტურად შეიძლება ჩაითვალოს ის, თუ რამდენად იყო ვთქვით მეპატრონე მიღწევადი, ხოლო სუბიექტურად შეიძლება ჩაითვალოს თავად შემსრულებლის მდგომარეობა შესრულების მომენტში, შეეძლო თუ არა მას მოეხდინა მეპატრონის შეტყობინება^[131], ხომ არ იყო სახეზე შეუტყობინებლობის შეუძლებლობა, ხომ არ ემუქრებოდა საფრთხე მეპატრონის ქონებას, მის ინტერესს^[132]. თუკი შეფასებიდან გამომდინარე მივიღებთ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ, როგორც ობიექტურად ისე სუბიექტურად შემსრულებელს შეეძლო დაკავშირება მეპატრონესთან ეს უნდა ჩაითვალოს მის მიერ განსახორციელებელ ვალდებულებად^[133], თუმცა, როცა ვთქვით სახეზეა საფრთხე, რომელიც ემუქრება მეპატრონის ქონებას ან როდესაც შეტყობინება წარმუდგენელია შესასრულებელი სამუშაოს გამო, აღნიშნული ვერ იქნება ვალდებულების ხასიათის შემცველი^[134].

2. შეტყობინების არსი

შეტყობინება ეს არის ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, რომელიც ნამდვილა მისი ადრესატთან მისვლისთანავე. ანუ, როდესაც მიმღების ძალაუფლების სფეროში მოექცევა შეტყობინება და მას ექნება რეალური შესაძლებლობა გაეცნოს შეტყობინების შინაარსს^[135]. ამასთან მნიშვნელოვანია შემსრულებლის მიერ გაკეთებული შეტყობინების

¹³⁰ NJW-RR 2005,1428, BGH Urteil vom 27.4.2005 –VIII ZR 140/04, (OLG Hamm)

¹³¹ Nebenpflichten des Geschäftsführers, Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Auflage 2020, § 681 Rn. 7

¹³² Gehrlein BeckOK BGB, Hau/Poseck 58. Nebenpflichten des Geschäftsführers, § 681, Rn. 2

¹³³ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 971, 5

¹³⁴ Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Nebenpflichten des Geschäftsführers, Auflage 2020, § 681, Rn. 9

¹³⁵ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 246-247

მიღწევადობის საკითხი მეპატრონესთან. დავუშვათ, შეატყობინა შემსრულებელმა, თუმცა რამდენად გაეცნო მეპატრონე ამ ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ ეს აღარ ითვლება მნიშვნელოვან გარემოებად^[136], ვინაიდან ყველაზე მთავარი აქ შემსრულებლის მიერ განხორციელებული შეტყობინების, როგორც ფაქტის არსებობაა.

მას შემდეგ, რაც შემსრულებელი განხორციელებს შეტყობინებას, მას აქვს ვარაუდი იმისა, რომ მეპატრონემ ნახა მისი შეტყობინება. ზემოთ უკვე ვისაუბრეთ ამ თემაზე, თუმცა აქაც ვიტყვი, რომ, როდესაც შემსრულებელი ხედავს შესრულების ფარგლებში საფრთხის არსებობას მეპატრონის ინტერესების მიმართ, მას ვალდებულება აღარ აქვს გსკ 681-ე მუხლისა და სსკ 971-ე მუხლის ნორმატიული ბუნების მიხედვით მოიცადოს სანამ მეპატრონე ასე ვთქვით არ დაუდასტურებს შეტყობინებას. ლოდინის ხანგრძლივობა ზოგადად გსკ-ის 681-ე მუხლის მიხედვით არ არის განსაზღვრული^[137], თუმცა ივარაუდება, რომ ეს ინტერვალი ობიექტურად უნდა იქნეს გამოთვლილი შესასრულებელი სამუშაოსთან მიმართებით. ასევე, თუკი ისე მოხდა, რომ შემსრულებელი დაელოდა და მეპატრონისგან საბოლოოდ მიიღო თანხმობა, ეს თანხმობა შესაძლებელია ჩაითვალოს, როგორც ხელშეკრულების დადების განცხადების მიღებად^[138]. თუმცა აღნიშნული არ შეიძლება გავიგოთ ისე, რომ თანხმობის მიცემით, რომ შეტყობინება მიღებულია და ნებაც გამოვლენილი - შემსრულებლის ქმედებებთან თანმხვედრი, ყველა სახის ურთიერთობაში გამოყენებადი იყოს. ანუ ხელშეკრულების დადების შესახებ განცხადების მიღება ყველა შემთხვევაში ვერ მოიკიდებს ფეხს და ვერ იქნება გაგებული, როგორც პირდაპირი მნიშვნელობით ხელშეკრულების დადება.

3. საქმის გაგრძელების ვალდებულება

სამოქალაქო კოდექსის 971-ე მუხლის მეორე წინადადებაში ვკითხულობთ, რომ შემსრულებელმა უნდა გააგრძელოს დაწყებული საქმეები, ვიდრე მეპატრონეს არ შეეძლება იმოქმედოს თვითონ. ვფიქრობ, ზემოთ ხსენებული მუხლის წინადადებები ასე ვთქვით ვერ ავსებენ ერთმანეთს და ითხოვენ დამატებით რაიმეს გათვალისწინებას. გსკ-ს 681-ე მუხლის მიხედვით შემსრულებელმა უნდა პირველივე

¹³⁶ Zugang einer Kündigung im Urlaub, BAG, Urteil vom 22.3.2012-2 AZR 224/11

¹³⁷Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Nebenpflichten des Geschäftsführers, Auflage 2020, § 681, Rn. 8

¹³⁸ იქვე, 8

შესაძლებლობისთანავე შეატყობინოს დაინტერესებულ პირს საქმის შესრულების კისრების შესახებ და, თუ დახანება დაკავშირებული არ არის საფრთხესთან, დაელოდოს მის გადაწყვეტილებას. ალბათ ცალსახად ჩანს, რომ გარკვეულწილად ერთი და იგივე წერია ამ ორ მუხლში, თუმცა, გერმანიის შემთხვევაში ვხვდებით დაშვებას, რომელიც უკავშირდება საფრთხეს. საფრთხეა სწორედ ის გადამწყვეტი ფაქტორი, რომელსაც შეუძლია შეტყობინების ვალდებულების ხარისხი შეამციროს. ეს, რომ ყოფილიყო ჩადებული ამ ნორმაში, ვფიქრობ, უკეთესი იქნებოდა. გამოდის, რომ შემსრულებელი გარკვეულწილად შეზღუდულია, მან არ იცის, როგორ უნდა მოიქცეს. მას ერთისმხრივ აკისრია შეტყობინების ვალდებულება ხოლო მეორესმხრივ აქვს ვალდებულება შეასრულოს შესასრულებელი საქმე მანამ მეპატრონე ვერ შეძლებს ამის გაგრძელებას. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ 971-ე მუხლის პირველ წინადადებაში ჩადებული „პირველ შესაძლებლობისთანავე-ში“ უნდა მოვიაზროთ ამ საფრთხის არსებობაც. ლოგიკურად ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ნორმა მაინც დამაბნეველია. დავუშვათ შემსრულებელის მოქმედებით რეალურად არის შანსი იმისა, რომ ზიანი დადგეს არათუ აცილებულ იქნას ის. სისტემური გაგებით, ლოდინის ვალდებულება გულისხმობს შეტყობინების ვალდებულებას^[139]. შემსრულებელი ასეთ დროს შეატყობინებს მეპატრონეს და ელოდება მის ერთგვარ პასუხს. გამოდის, რომ შემსრულებელი არ აგრძელებს საქმის შესრულებას, რადგან იგი მოლოდინის რეჟიმშია. სხვაგვარად, რომ ავიღოთ თუკი შემსრულებელი ხედავს, რომ საფრთხის თვიდან აცილებას ემსახურება მისი ქმედება და შეუძლებელია შეტყობინება^[140], ასეთ დროს იგი აგრძელებს შესრულებას მანამ სანამ მეპატრონეს არ ექნება შესაძლებლობა გააგრძელოს შესრულება. დაკონკრეტება სწორედ ამ სხვაობას გვამღევეს და უფრო ნათელს ხდის ნორმის შინაარსს.

დაწყებული საქმის დასრულების ვალდებულება გამომდინარეობს 967-ე მუხლით გათვალისწინებული კეთილსინდისიერად საქმის შესრულების ვალდებულებისაგან^[141], თუმცა შესრულების ცნებას, როგორც ვთქვით შეიძლება დაუპირისპირდეს საფრთხის ან ზიანის წარმოქმნის შემთხვევა, რის გამოც დაწყებული შესრულების გაგრძელებას გარკვეულწილად შემსრულებლის მისთვის არა სასიკეთო მოცემულობაში აღმოჩენა შეიძლება მოყვეს. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, დაწყებული საქმის გაგრძელებას მაშინ

¹³⁹Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Nebenpflichten des Geschäftsführers, Auflage 2020, § 681, Rn. 9

¹⁴⁰ იქვე, 9

¹⁴¹ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ მუხლი 971, 10

ექნება სავალდებულო ხასიათი, როცა სახეზე იქნება მეპატრონის ინტერესი და მოლოდინი, რომ მის ქონებას საფრთხე მიადგება. მეპატრონის გადმოსახედიდან ამ დროს წინა პლანზე გამოდის დადანაშაულების მომენტი, როდესაც მას უჩნდება მოსაზრება - რომ არა შემსრულებლის განზრახვა, შეესრულებინა მისი საქმეები, ზიანი საერთოდ არ იქნებოდა დამდგარი^[142].

არსებობს მოსაზრება, რომ დაწყებული საქმის გაგრძელების ვალდებულება შემსრულებელს მხოლოდ იმ მომენტამდე ეკისრება, სანამ მეპატრონეს არ ექნება თავად მოქმედების შესაძლებლობა ობიექტური თუ სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით^[143].

4. სამართლებრივი შედეგი

შეტყობინების ვალდებულება არაძირითადი ვალდებულებაა, რომლის დარღვევა სსკ-ით გათვალისწინებულ დამოუკიდებელ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს^[144]. რა შეიძლება მოჰყვეს შეტყობინების ვალდებულების დარღვევას? რეალურად სსკ ითვალისწინებს, შემსრულებლის მიერ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შედეგად. თუმცა, შეიძლება თუ არა ამ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის დაუშვებლობა, თუკი შემსრულებელი არ შეატყობინებს შესრულების შესახებ მეპატრონეს? ვფიქრობ, ასეთ დროს გარკვეულწილად, თუკი საფრთხის არსებობის ფაქტსაც დავუშვებთ, შეუტყობინებლობა არ უნდა გახდეს ანაზღაურების მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოება^[145]. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით გადაწყვეტილებას (Nას-1320-1246-2012, 12.12.2012) სადაც სასამართლო მიუთითებს, რომ შემსრულებლის მიერ გაწეული ხარჯები, იმ შემთხვევაში თუ იგი აუცილებლად იქნება მიჩნეული, შემსრულებელი მაინც ვერ გახდება უფლებამოსილი მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რადგან სსკ 971-ე მუხლით დადგენილი ვალდებულება არ შეუსრულებია ანუ მეპატრონე არ შეუტყობნებია. ვფიქრობ, აღნიშნული განმარტება ლახავს და ზღუდავს შემსრულებლის მიერ სხვისი საქმის სრულყოფილ შესრულებას. მაშინ, როდესაც სახეზეა შესაძლო საფრთხის არსებობა მეპატრონის ინტერესების მიმართ, შემსრულებელი

¹⁴² Gehrlein in Bamberger/Roth, Beck'scher Online-Kommentar BGB, 28. Auflage, 2013, § 677, Rn. 19

¹⁴³ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 971, 10

¹⁴⁴ იქვე, 11

¹⁴⁵ Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012, §681, Rn. 10

სწორედაც, რომ უნდა მოქმედებდეს გსკ-ით გათვალისწინებული 681-ე მუხლის შინაარსის მიხედვით^[146]. იგი არ უნდა იყოს ვალდებული ყველაშემთხვევაში გააკეთოს შეტყობინება და დაელოდოს მეპატრონის სიტყვას, ეს ზრდის რისკებს და სწორედ ეს ფაქტი არ უნდა იქნეს მიჩნეული სწორ არგუმენტად^[147]. შესაბამისად უზენაესი სასამართლოს ეს განმარტება ნორმის მიზანთან მიმართებით ვერ იქნება გაზიარებული.

არსებობს მოსაზრება, რომ, როდესაც შემსრულებელი შეტყობინების ვალდებულებას არღვევს მას შესაძლოა ზიანის ანაზღაურებაც კი დაეკისროს. ეს გარკვეულ წილად დაშვების ნაწილში შესაძლებელი შეიძლება იყოს, თუმცა ეს მხოლოდ დაშვებაა და ყველა შემთხვევაზე ამ მოცემულობას ვერ გავავრცელებთ. ისევ ვუბრუნდებით საფრთხის არსებობას. კერძოდ, გსკ-ის 681-ე მუხლის მიხედვით, თუ ეს ლოდინი არ იქნება დაკავშირებული საფრთხის არსებობასთან მაშინ შემსრულებელი უნდა დაელოდოს მეპატრონის პასუხს, თუმცა, როდესაც საქმე გვაქვს საფრთხესთან, ამ შემთხვევაში ლოდინის ვალდებულება აღარ გვაქვს სახეზე, ვინაიდან ამ ლოდინით შეიძლება იმაზე უფრო დიდი ზიანი დადგეს ვიდრე უკვე არის. როდესაც შემსრულებელი შეასრულებს ლოდინის გარეშე საქმეს უკვე შემდგომ მას წარმოეშვება ვალდებულება, რომელიც გაწერილია გსკ 666 მუხლში, რის საფუძველზეც დავალების შესრულების შემდეგ უნდა წარუდგინოს მას ანგარიში. შემსრულებლის მიერ დაწყებული საქმის გაგრძელების ვალდებულების დარღვევა არაძირითადი ვალდებულების დარღვევაა და დამდგარი ზიანის ანაზღაურება შემსრულებელს ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესების შესაბამისად დაეკისრება^[148]. გამოდის, რომ შესაძლებელია გარკვეულ სიტუაციაში სახეზე გვქონდეს საფრთხე, შესაძლოა ზიანის გაზრდის ვარაუდი, შეტყობინების შეუძლებლობა ან პირიქთ, შეტყობინების ვალდებულების არსებობა და ლოდინის ვალდებულება, იმ შემთხვევაში, როცა საფრთხის წარმოქმნის ვარაუდი გამორიცხულ იქნება და ზიანის გაზრდაც ასევე გამორიცხება. შესაბამისად მაინც გამოდის ისე, რომ ყველაზე მთავარი აღნიშნული მუხლის ფარგლებში არის საფრთხისა და ზიანის არსებობის მიმართება ზოგადად შეტყობინებისა და ლოდინის ვალდებულებასთან. ცალსახაა, რომ მეპატრონეს აქვს უპირატესი უფლება იცოდეს მისი საქმეების შესრულების შესახებ^[149]. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა

¹⁴⁶Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Nebenpflichten des Geschäftsführers, Auflage 2020, § 681, Rn. 8

¹⁴⁷ იქვე, 8

¹⁴⁸ ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია, 2011, გვ.139.

¹⁴⁹ Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Nebenpflichten des Geschäftsführers, Auflage 2020, § 681, Rn. 14

ითქვას, რომ აღნიშნულის განხორციელება მაშინვე, როცა შემსრულებელი მოქმედებას იწყებს შესაძლოა ვერ მოხერხდეს სწორედ ამ საფრთხის ან ზიანის დადგომის გამო. შესაბამისად, თუკი შემსრულებელი ბრალეულად არ დაარღვევს შეტყობინების ვალდებულებას ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით პასუხისმგებლობის საკითხი მის მიმართ არ უნდა იქნეს გამოყენებული^[150], იმ შემთხვევაში, თუ, რა თქმა უნდა, არ მოხდება ზიანის დადგომა და პირიქით შემსრულებელი ააცილებს მეპატრონეს საფრთხის ან ზიანის მიღებას.

¹⁵⁰ Reiner Schulze, Bürgerliches Gesetzbuch 10. Nebenpflichten des Geschäftsführers, Auflage 2019, § 681, Rn. 3

VII. დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების მომენტში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა და მიღებულის უკან დაბრუნება

ზოგადად, შემსრულებელი დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულებისას იღებს გარკვეულწილად ვალდებულებას წარუდგინოს მეპატრონეს შესრულებული სამუშაოს ანგარიში. ჩვენ ვისაუბრეთ შეტყობინების ვალდებულებაზე, თუმცა ანგარიშის წარდგენის ვალდებულება სხვა საკითხია. აღნიშნული ცნების შესახებ ნორმას ვხვდებით სამოქალაქო კოდექსის 972-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც შემსრულებელი ვალდებულია წარუდგინოს მეპატრონეს ანგარიში შესრულების შესახებ და გადასცეს მას ყველაფერი, რაც შესრულების შედეგად მიიღო. ამ მუხლის ანალოგი გერმანულ სამოქალაქო კოდექსში განეკუთვნება 681-ე და 684-ე მუხლებს. უნდა ითქვას, რომ ქართული ვარიანტი ორ ნაწილად არის დაყოფილი, პირველი ნაწილი მოიცავს უბრალოდ ანგარიშის წარდგენას, რომელიც უნდა ჩაითვალოს არაძირითად ვალდებულებად, ხოლო მეორე ნაწილი უკავშირდება იმ მიღებულ საგანს, რაც მან შესრულების მომენტში მიიღო^[151].

1. ანგარიშის წარდგენა

ანგარიშის წარდგენის ვალდებულება მოიცავს იმგვარი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, რომელზე დაყრდნობითაც მეპატრონეს შეეძლება სწორად აღიქვას მიმდინარე მოვლენები^[152]. ამასთანავე წარდგენილი ინფორმაცია უნდა იყოს კეთილსინდისიერად წარდგენილი^[153] და არ უნდა იქნეს რაიმეს დამალვა ან დამახინჯება^[154]. შემსრულებლის მიერ მეპატრონისათვის ანგარიშის წარდგენა არაძირითადი ვალდებულებაა^[155],

¹⁵¹ ბიოლინგი/ლუტრინგჰაუსი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2004–2009, გვ.132

¹⁵² Münchener Kommentar zum BGB, Seiler, § 666, 6. Auflage, 2012, Rn. 8

¹⁵³ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 972, 4

¹⁵⁴ Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Auskunfts- und Rechenschaftspflicht, Auflage 2020, § 666, Rn. 23

¹⁵⁵ ჩაჩავა, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კოკურენცია, 2011, გვ. 134 და შემდგომი გვერდები.

რომელიც წინ უნდა უსწრებდეს ძირითადი ვალდებულების შესრულებას^[156]. თუმცა მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში მეპატრონე შესაძლოა უფლებამოსილი იყოს სახელშეკრულებო ურთიერთობის მსგავსად სსკ-ის 369-ე მუხლის თანახმად თავი შეიკავოს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან ანგარიშის წარდგენამდე^[157]. ასევე შესაძლებელია ანგარიშის წარდგენის ცალდებულების შეუსრულებლობას მოჰყვეს ზიანი, რაც პირდაპირ მიემართება ისევ იმისკენ, რომ ამ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოემგება მეპატრონეს^[158]. აღნიშნული ეხება მეპატრონის უფლებას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუმცა თავისხმრივ შემსრულებელსაც გააჩნია უფლება დანახარჯების ანაზღაურება მოსთხოვოს მეპატრონეს. ამის განსასაზღვრად და საორიენტაციოდ, მეპატრონეს წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე შეუძლია დაახლოებითი წარმოდგენა შეექმნას მის მიერ შემსრულებლის დანახარჯების შესაძლო ასანაზღაურებლად^[159].

2. შესრულების შედეგად შემსრულებლის მიერ მიღებულის უკან დაბრუნების ვალდებულება

სსკ-საგან განსხვავებით გსკ შემსრულებლის მიერ სხვისი საქმის შესრულებისას მიღებულის უკან დაბრუნების ვალდებულებას დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებისას უსაფუძვლო ნორმებზე მხოლოდ მეპატრონის ნებისა თუ ინტერესის საწინააღმდეგო საქმის შესრულებისას ითვლისწინებს^[160]. მიუხედავად ამისა გერმანულ დოქტრინაში ერთიანია პოზიცია, რომ დავალების ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული შესაბამისი ვალდებულება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების შემთხვევებზე ანალოგიურად გამოიყენება^[161]. ლოგიკურია, რომ შემსრულებელი იმ მომენტში, როდესაც სხვისი საქმის შესასრულებლად მოქმედებს, მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ მეპატრონის ინტერესებისა და ქონებისთვის. ამ შესრულების ფარგლებში კი, როდესაც შემსრულებელი იღებს

¹⁵⁶ Münchener Kommentar zum BGB, Seiler, § 666, 6. Auflage, 2012, Rn.3

¹⁵⁷ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 972, 4

¹⁵⁸ Münchener Kommentar zum BGB, Seiler, § 666, 6. Auflage, 2012, Rn.13

¹⁵⁹ Münchener Kommentar zum BGB, Seiler, § 667, 6. Auflage, 2012, Rn.26

¹⁶⁰ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 972, 8

¹⁶¹ იქვე, 8

გარკვეულ ცვლილებებს მეპატრონის ქონებასთან მიმართებით, ეს იქნება გაუმჯობესება თუ უპირატესობა, ეს მაინც ჩაითვლება მეპატრონის ქონების შემადგენელ ნაწილად, ვინაიდან შესრულება მიმართულია მეპატრონის კუთვნილი ობიექტის მიმართ და ცვლილებებიც მასთან არის კავშირში^[162]. შეიძლება გაგვიჩნდეს მოსაზრება, რომ მეპატრონესა და შემსრულებელს შორის არსებული ამ ურთიერთობის ფარგლებში, ვგულისხმობ, ერთისმხრივ ხარჯების ანაზღაურება და მეორესმხრივ შესრულებულის უკან დაბრუნება ასე ვთქვათ გაქვითვაში არ გადის და ისინი მაინც ცალცალკე უნდა იქნეს განხილული^[163].

3. შესრულებულის უკან დაბრუნების ფარგლები

შესრულების შედეგად შემსრულებელმა შეიძლება მიიღოს, როგორც უფლებრივი ისე ფაქტობრივი - მატერიალური სახით არსებული ქონება, რაშიც შეიძლება მოვიაზროთ ფული, ფასიანი ქაღალდი, რაიმე ნივთი და ასე შემდეგ^[164]. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემსრულებლის ქმედება, რომელმაც გაზარდა ასე ვთქვათ მეპატრონის ქონება, ისე, რომ შემსრულებლის მხრიდან არ ყოფილა რაიმე დამატებითი ხასიათის, მის მიერ გაღებული სახრებით ნამატის შექმნა უნდა ეკუთვნოდეს მეპატრონეს^[165]. ასევე, თუკი გვაქვს ისეთი შემთხვევა, როცა მეპატრონეს აქვს ეჭვი, რომ რეალურად შემსრულებელმა მიიღო გარკვეული სარგებელი მისი საქმის შესრულებიდან, შემსრულებელს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ მას არანაირი სარგებელი არ მიუღია^[166]. მან შესაძლოა რეალურად ვერ მიიღო სარგებელი და ამტკიცებს, რომ ის სარგებელი, რაც დადგა შესრულებიდან მოპარეს ან უბრალოდ გაქრა, თუმცა ეს მხოლოდ ჰაერზე ნათქვამი სიტყვებია და შემსრულებელს ყველა შემთხვევაში აქვს ვალდებულება, რომ გააქარწყლოს მეპატრონის ეჭვები და დამტკიცოს მისი სიმართლე სარგებლის მიუღებლობასთან დაკავშირებით^[167].

ასევე შესაძლებელია, შემსრულებელი ზრდიდეს მეპატრონის საქმის შესრულების დროს მის ფარგლებს, მისი კეთილი ნებიდან გამომდინარე გაღებული სახსრებით, რაც შეიძლება ერთგვარ შეწირულობაში გავიყვანოთ. როგორც წესი აღნიშნული სახის შესრულებით მიღებული სარგებლის

¹⁶² Münchener Kommentar zum BGB, Seiler, § 667, 6. Auflage, 2012, Rn.1

¹⁶³ იქვე, 2

¹⁶⁴ იქვე, 3-4

¹⁶⁵ იქვე, 9

¹⁶⁶ Herausgabepflicht Kurze Burandt/Rojahn, Erbrecht 3. Auflage 2019, § 667, Rn. 3

¹⁶⁷ იქვე, 3

კუთვნილების ფაქტი ვერ გადაიწონება მეპატრონის მხარეზე და მასზე უფლება მხოლოდ და მხოლოდ შემსრულებელს ექნება¹⁶⁸.

¹⁶⁸ Münchener Kommentar zum BGB, Seiler, § 667, 6. Auflage, 2012, Rn.17

VIII. შემსრულებლის მიერ გაღებული თანხების ანაზღაურების უფლების განხორციელებადობა

ზოგადად ხარჯებთან დაკავშირებით და სსკ 973-ე მუხლის შესახებ ზევით გარკვეულწილად ვისაუბრეთ, თუმცა აქ გამოვყოფ რამდენიმე საკითხს. მანამდე კარგი იქნება, თუ კონკრეტულად მუხლის ნორმატიულ შინაარსს განვიხილავთ. შემსრულებელს უფლება აქვს მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნა მიჩნეული. მუხლში ხაზი ესმევა აუცილებლობას. ანუ აქ ერთგვარად დაზუსტებულია და შეზღუდულია შემსრულებლის მიერ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებში გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა. კონკრეტულად კი ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც აუცილებლად არის მიჩნეული^[169].

1. არაძირითადი ვალდებულების გავლენა ხარჯების აუცილებლობის შეფასებისას

როდესაც სასამართლო იხილავს ხარჯების აუცილებლობის საკითხს, მნიშვნელოვანია, რომ გამოკვლევულ იქნას შემსრულებლის მიერ წარდგენილი ანგარიში. საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით მაგალითებს, როცა სასამართლო უბრალოდ არ მიიჩნევს აუცილებელ ხარჯად შემსრულებლის მიერ ანგარიშში მითითებული თანხის ოდენობას^[170]. ეს გამოწვეულია იმით, რომ ანგარიშში მითითებული თანხები განეკუთვნებოდა არარეალურ თანხებს, მარტივად, რომ ვთქვათ ოდენობა იყო იმაზე მეტი ვიდრე შესასრულებელი სამუშაოს შესრულებას დასჭირდებოდა. ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით ზემოთ განვიხილეთ სუბიექტური და ობიექტური კრიტერიუმების შეფასება, რაც შესაძლებელს ხდის ზოგადად სასამართლოს მიერ ამგვარი გადაწყვეტილების მიღების რეალურობასა და კანონიერებას. ვგულისხმობ, იმას, რომ ხარჯების აუცილებლობის შეფასებისას გადაწყვეტია არა ის, თუ როგორ შეაფასა შემსრულებელმა არსებული გარემოებები, არამედ როგორ შეაფასებდა რაციონალურად მოაზროვნე პირი

¹⁶⁹ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 973, 5

¹⁷⁰ ქუთაისის საქალაქო სასამართლო, N2/1308-12, 18.04.2013

არსებულ გარემოებებს გულისხმიერი, გონივრული და საგულდაგულო შემოწმების შემთხვევაში^[171]. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ სასამართლომ ყოველი შემთხვევისთვის გარკვევით და გასაგებად იმსჯელოს, რა გარემოებებითა და ფაქტორებით იხელმძღვანელა ხარჯების აუცილებლობის შეფასებისას^[172]. სხვა შემთხვევაში მივიღებთ დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებას, რომელიც თავის მხრივ გამოიწვევს პირის დაუკმაყოფილებლობას და იმ ვარაუდის დაშვებას, რომ არ მოხდა მართლზომიერად მოცემულობის შეფასება.

2. სამართლებრივი შედეგი

როდესაც შემსრულებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ფარგლებში დგინდება ის, რომ მის მიერ გაღებული სახსრები აუცილებლად უნდა ჩათვლილიყო, ასეთ დროს მეპატრონეს წარმოეშევა ვალდებულება, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ამ ხარჯების ანაზღაურება. ხარჯების ანაზღაურება, როგორც წესი ფულადი ფორმით გამოიხატება. არაფულადი დანახარჯის შემთხვევაში მისი ოდენობა უნდა განისაზღვროს სამოქალაქო ბრუნვაში მისი რეალური ღირებულების შესაბამისად^[173]. შეფასებისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას იმ დროს იმ მომენტში აღიარებული ზოგადი ფასები. ასევე არსებობს მოსაზრება, რომ, როდესაც ხდება ფულის კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება, ასეთ დროს გამონაკლისი სახით შესაძლებელია ანაზღაურება მეპატრონის მხრიდან განხორციელდეს არაფულადი სახითაც, თუმცა როგორი ფორმით იქნება ეს უკვე მსჯელობის და იმ ვითარების შეფასების შედეგად უნდა დადგინდეს, რის დროსაც შემსრულებელი მოქმედებდა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომენტში^[174]. ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ, როდესაც საუბარია ხარჯების აუცილებლობის განსაზღვრაზე, ეს მომენტი მეპატრონისგან ასე ვთქვათ დამოუკიდებლად გვევლინება, იმ გაგებით, რომ ამ აუცილებლობის განსაზღვრების მტკიცების ტვირთი სწორედ შემსრულებელს უნდა ეკისრებოდეს და არა მეპატრონეს^[175]. მტკიცების მომენტში, შემსრულებელი

¹⁷¹ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 973. 10

¹⁷² იქვე, 14

¹⁷³ იქვე, 17

¹⁷⁴ Münchener Kommentar zum BGB, Seiler, § 670, 6. Auflage, 2012, Rn.11.

¹⁷⁵ ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მეოთხე წიგნი, მეორე ტომი, 2001, 973-ემუხლი, გვ. 348

ვალდებულია მეპატრონის წინაშე სწორი და შესაბამისი მტკიცებულებებით გაამყაროს მის მიერ გაღებული ხარჯების აუცილებლობის საკითხი^[176]. თუმცა თუკი სახეზე გვექნება მეპატრონის ერთგვარი პრეტენზია, რომლითაც იგი ამ ხარჯების აუცილებლობის საკითხს უპირისპირებს შეტყობნების ვალდებულების დარღვევას, ამის მტკიცების ტვირთი მანვე უნდა იკისროს და შესაბამისი მტკიცებულებებით დაადასტუროს მისი სიმართლე და ეჭვები შეტყობნების ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით, თუ რამდენად მოახდენდა ის ზეგავლენას ხარჯების მოცულობის გაზრდაზე, ან პირიქით^[177].

¹⁷⁶ Detlev/Fischer, Beck'scher Online-Kommentar, § 670, Rn.28.

¹⁷⁷ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 973. 18

IX. დავალების გარეშე სხვისი საქმეების გამორიცხვა

სსკ 975-ე მუხლის მიხედვით დავალების გარეშე სხვისი საქმეების წესების გამოყენება არ ხდება, თუკი პირი - შემსრულებელი სხვისი საქმის შესრულებისას ვარაუდობს, რომ ეს არის მისი საქმე. აღნიშნული მუხლი ასე ვთქვათ ამყარებს და ხაზს უსვამს ზოგადად დავალების გარეშე სხვისი საქმეების მოქმედებას, კერძოდ ამით ხაზი ესმევა იმას, რომ აღნიშნული შემთხვევა მხოლოდ მაშინ გვაქვს, როდესაც შემსრულებელი შეგნებულად მოქმედებს სხვისი საქმისთვის და არა მოჩვენებითად.

1. საკუთარი საქმის შესრულება

როდესაც შემსრულებელი იწყებს მოქმედებას, თუმცა ისე, რომ არ აქვს გააზრებული რეალურად რისთვის მოქმედებს^[178], ეს ვერ ჩაითვლება სხვისი საქმის დავალების გარეშე შესრულებად^[179]. ამ დროს პირი სხვისი ინტერესებში არ ექცევა და არც მისთვის, მისი ქონებისთვის იწყებს საქმის შესრულებას, ამ მომენტში უნდა მოხდეს დავალების გარეშე სხვისი საქმეების წესების გამოყენების გამორიცხვა. ამ საკითხის შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დადგინდეს, თუ რამდენად აცნობიერებდა პირი - შემსრულებელი ასრულებდა თუ არა დავალების გარეშე სხვის საქმეს. ამასთან დაკავშირებით გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევას, როდესაც დამქირავებელი აკეთებს რემონტს მისივე ხარჯებით იმ ვარაუდოით, რომ ეს მისი ვალდებულებაა^[180].

წინაპირობის კუთხით ზემოთ ხსენებულ მუხლს წინ უძღვის ვარაუდის არსებობა. მართალია ეს ვარაუდი სუბიექტური კატეგორიაა და არ არის დამოკიდებული შემსრულებლის ბრალზე, თუ რას ფიქრობდა იმ მომენტში როდესაც ასრულებდა საქმეს. აქ ვგულისხმობ, იმას, რომ როდესაც პირი ფიქრობს და უშვებს იმ ვარაუდს, რომ მის მიერ შესასრულებელი საქმე შეიძლება მასვე ეკუთვნოდეს და ეს გამოწვეული იყოს ბრალით, რაც ასევე მისი შეხედულების საკითხია ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ მიენიჭება იმ კუთხით, რომ შემდგომში შეფასების საფუძველზე თუკი პირდაპირ

¹⁷⁸ Ogonowski, Die Geschäftsführung ohne auftrag nach österreichischem Rechte, 1877, S.28, 42-43

¹⁷⁹ ნინიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მეოთხე წიგნი, მეორე ტომი, 2001, 975-ე მუხლი, გვ. 351.

¹⁸⁰ LG Karlsruhe, Urteil vom 28.4.2006 –9 S 479/05

დადგინდება, რომ შემსრულებელს სხვისი საქმის შესრულებისას ჰქონდა ეს შეხედულება, რომ ეს საქმე სხვის საქმედ არ აღიქმებოდა მაშინ აქ ბრალი არანაირ როლს აღარ ითამაშებს და სწორედ ამიტომ ვერ გახდება ასე ვთქვათ შემსრულებლის პოზიციის გამამართლებელი ფაქტორი^[181].

სხვისი საქმის შესრულების მომენტი შემსრულებლის ცნობიერებაში უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად მისი ნება. აქ იგულისხმება ის, რომ, შემსრულებელი მიუხედავად მისი ნებისა^[182], რომ შეასრულოს საქმე მაინც ჩაითვლება დავალების გარეშე სხვისი საქმეების წესების მოქმედების ფარგლებში, თუკი მას გააზრებული აქვს, რომ შესასრულებელია სხვისი საქმე და არა თავისი.

უზენაესი სასამართლო საზიარო უფლებების ფარგლებში ერთ-ერთი თანამესაკუთრის მიერ სახლის აღდგენით სამუშაოებზე გაწეულ ხარჯების ანაზღაურების მიმართ გამორიცხავს დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების გავრცელებას იმ დასაბუთებით რომ სუბიექტურად, მოსარჩელე მოქმედებდა რწმენით, რომ იგი ასრულებდა თავის და არა სხვის საქმეს^[183]. რამდენად იყო უდავო შემსრულებლის მიერ საკუთარი საქმის შესრულების ვარაუდი და ხომ არ აცნობიერებდა შემსრულებელი რომ სხვისს საქმესაც ასრულებდა, აღნიშნულზე სასამართლოს მოცემულ საქმის ფარგლებში არ უმსჯელია^[184]. შესაბამისად ამ ნაწილში მაინც უნდა ითქვას, რომ სასამართლოს გადწყვეტილება და ეს შეხედულება ვერ იქნება გაზიარებული, ვინაიდან, საზიარო უფლებების ფარგლებში საექვო გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ შემსრულებელი სუბიექტურად თუ ობიექტურად სადღაც მაინც დაუშვებდა იმ ვარაუდს, რომ სხვის საქმესაც ასრულებდა გარკვეულწილად.

სააპელაციო სასამართლომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ნორმების გამოყენება უარყო ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც პირი - შემსრულებელი წლების განმავლობაში იღებდა თანამესაკუთრის ყურძნის მოსავალს და იყენებდა თავად თანამესაკუთრის ინტერესების საწინააღმდეგოდ^[185]. აქ სასამართლომ თქვა, რომ რადგან სხვისი საქმის შესრულების ნება არ იყო სახეზე სწორედ ამიტომ არ უნდა გამოყენებულიყო დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესები. ნების არსებობა ამ

¹⁸¹ Münchener Kommentar zum BGB, Seiler, § 687, 6. Auflage, 2012, Rn.5

¹⁸² იქვე, 8

¹⁸³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, Nას-649-610-2011, 4.10.2011

¹⁸⁴ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 975, 6

¹⁸⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, Nას-749-1116-06

შემთხვევაში აუცილებელია საფუძლიანად შეფასებულიყო. როდესაც ვენახით სარგებლობს ორი პირი, რომელთა თანასაკუთრებაშიც იმყოფება რეალურად ამ ვენახიდან ამონაგები ნაყოფი, რომელსაც თანამესაკუთრის ინტერესებისთვის საზიანოდ იყენებ შემსრულებელი მხოლოდ ის ფაქტი, რომ მას არ ჰქონდა ვარაუდი იმის, რომ თანამესაკუთრის ინტერესებისთვისაც მოქმედებდა არ უნდა იქნას მიჩნეული სწორ და გამოურიცხავ გარემოებად. აქ კარგი იქნებოდა მეტი მსჯელობა სასამართლოს მხრიდან, თუნდაც იმასთან დაკავშირებით, რომ გვქონოდა დაშვება იმის, რომ ეს პირი რეალურად მის ვარაუდში მისივე თანამესაკუთრის ინტერესებისთვის მოქმედებდა, რამდენად შესაძლებელი გახდებოდა ამ აზრის რეალობაში არსებობა და რამდენად დააკმაყოფილებდა ამგვარი მოცემულობით შემთხვევა დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესებს. სხვათაგან უნდა ითქვას, რომ როდესაც პირი მოქმედებს ისე, რომ რეალურად თანამესაკუთრის ინტერესს ზიანი ადგება და იმ ნაყოფს თავის სასიკეთოდ იყენებს აქ რთულია იმის დამტკიცება, რომ შემსრულებლის ქმედებები რამენაირად მეორე პირისთვის სასიკეთოდ მოქმედებაში გავა. შესაძლოა არსებობს ვარაუდი რომ პირი მოქმედებს თანამესაკუთრის ინტერესებისთვისაც, თუმცა, როდესაც შედეგის თვალსაზრისით გვხვება ისეთი მოცემულობა, რომლის დროსაც თანამესაკუთრე არაფერს იღებს, მეტიც ზიანი ადგება ეს ვარაუდი გაუთვალისწინებლად უნდა დარჩეს და შესაბამისად დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესები არ უნდა იქნეს გამოყენებული.

ასევე უზენაეს სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ასევე არ მიიჩნია სასამართლომ დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების გამოყენება მართლზომიერად¹⁸⁶ ისეთი შემთხვევისთვის, როდესაც ბანკმა გადაიხადა მოვალის საგადასახადო დავალიანება, ვინაიდან თავად იყო იპოთეკარი და აღნიშნული ვალდებულების შესრულებით გამოხსნა ქონება საგადასახადო იპოთეკისგან. აქაც არ ვხვებით მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, ბანკი რეალურად ხომ არ მოქმედებდა სხვისი საქმის შესრულებისთვის შეგნებულად. მაგალითები ცხადყოფს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები რეალურად შეიძლება სწორი ფორმულირებით ვითარდება და გადაწყვეტილებაც გარკვეულწილად სწორად გამოდის, თუმცა მაინც ჩნდება კითხვები და აუცილებელი ხდება გარკვეული საკითხების მეტად დასაბუთება და ამ საკითხებზე მეტი მსჯელობა, რათა შემდგომში გამოირიცხებოდეს ეს ეჭვები დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების წესების გამოყენება-გამოუყენებლობასთან მიმართებით.

¹⁸⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალაატა Nos-1150-1079-20127 მარტი, 2013წელი

როდესაც პირი სხვის საქმეს ასრულებს საკუთარი საქმის შესრულების ვარაუდით, შესაძლო მოთხოვნები უსაფუძვლო გამდიდრების წესების მიხედვით უნდა წარმოიშვას^[187]. თუკი დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულება სახეზე და დაცულია 969-974-ე მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები, მეპატრონე ვალდებულია შემსრულებელს აუნაზღაუროს მისი საქმის შესრულებისთვის გაწეული აუცილებელი ხარჯები და ზოგიერთ შემთხვევაში ზიანიც მიუხედავად დამდგარი შედეგისა^[188].

¹⁸⁷ ჩაჩავა, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, მუხლი 975, 9

¹⁸⁸ Ogonowsky, Die Geschäftsführung ohne auftrag nach österreichischem Rechte, 1877, S.30

X. დასკვნა

დასკვნის სახით შემიძლია ვთქვა, რომ მაქსიმალურად შევეცადე საკითხთან დაკავშირებით მიმომეხილა ყველა მნიშვნელოვანი ტერმინი თუ შემთხვევა. მათ შორის, ვფიქრობ, მარტივად აღსაქმელი, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი იყო დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების ფარგლებში, როგორც მეპატრონის ისე შემსრულებლის თანმდევი ერთგვარი განწყობასთან და დამოკიდებულებასთან დაკავშირებული ტერმინების შინაარსობრივი განმარტება. მაგალითად ისეთების, როგორებიცაა ნებისა და ინტერესის მნიშვნელობა, დანახარჯებისა და ზიანის ერთმანეთისგან გამოიჯვანა და მათი განმარტება, სარგებლის არსი ამ სახის შესრულების დროს. ასევე მნიშვნელოვანი იყო საფრთხის არსის განსაზღვრა და შესაძლო ზიანის დადგომის გამომწვევი მიზეზების განხილვა.

უნდა ითქვას, რომ გერმანულ კანონმდებლობასთან შედარების საფუძველზე გამოიკვეთა გარკვეული საკითხები, რომლებიც შესაძლოა კითხვის ნიშნებს წარმოშობდნენ. მაგალითად, როდესაც საუბარი გვაქვს შეტყობინების ვალდებულებაზე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებასა და საჯარო ინტერესის მნიშვნელობაზე, აუცილებელია ყველა ამ ცნების ქვეშ განხილულ იქნეს ინდივიდუალური შემთხვევები სიღრმისეულად. შესაძლებელია ნორმატიულად კანონი ერთს ამბობდეს და სიღრმისეული შეცნობის შემდეგ მეორე მოცემულობა იქმნებოდეს. ანუ ხდებოდეს თეორიულ დონეზე იმ დაშვების გაკეთების შესაძლებლობა, რომ გარკვეული საკითხი სხვაგვარად შეიძლება დარეგულირდეს და გარკვეული პასუხისმგებლობებისგან გათავისუფლდეს, ამ შემთხვევაში, შემსრულებელი. აქ მთავარ აქცენტს ვაკეთებ, შეტყობინების ვალდებულებასა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულების ერთმანეთთან მიმართებაზე, ასევე ზოგადი საჯარო ინტერესის არსებობაზეც და მეპატრონის, როგორც ქონების მესაკუთრის ინტერესების გათვალისწინებასა და მისთვის ზიანის აცილების შესაძლო მცდელობაზე. ზიანის აცილებას წინ უძღვის იმ გადამწყვეტი ცნების წინ წამოჭრა, რაც საფრთხის არსებობით გამოიხატება, რაც გსკ-ს შემთხვევაში სწორად არის გათვალისწინებული ამ სახის შემთხვევებისთვის, რასაც ვერ ვიტყვით სსკ-ზე (გსკ-ს 681-ე, სსკ-ს 971-ე). სწორედ ეს გათვალისწინებელი დაშვება ქმნის პრობლემას, რაც გამოიხატება ეჭვების გაჩენაში ამ საკითხებთან და ზოგადად ნორმის ამ ფორმით ჩამოყალიბების სისწორესთან დაკავშირებით.

საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ ნაშრომში განხილული ზოგიერთი საკითხი საჭიროებს დამატებით განხილვას, რათა მოხდეს ნორმათა დაკონკრეტება გარკვეული შემთხვევების მიმართებით. არ უნდა ხდებოდეს ისე, რომ ნორმის წაკითხვისა და თუნდაც მის შესახებ არსებული კომენტარის გაცნობის შემდეგ რჩებოდეს გაურკვეველი წარმოდგენა და ეჭვები, ნორმის შინაარსი და განმარტება არ უნდა ქმნიდეს ბუნდოვან მოცემულობას. ამის აღმოსაფხვრელად შევეცადე გერმანულ კანონმდებლობასთან შეპირისპირებით დამეფიქსირებინა აზრი, ამ კონკრეტული საკითხების მიმართ. ვფიქრობ, რომ აღნიშნული ნააზრევი იმსახურებს მხედველობაში მიღებასა და გათვალისწინებას.

თემის და საკითხის გამოყენების თვალსაზრისს რაც შეეხება, სასამართლო პრაქტიკის კუთხით ასევე თავს იჩენს მოსამართლეთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისას დასაბუთებული, შემთხვევებთან და ნორმებთან კავშირში არსებული მსჯელობის არ არსებობა. აუცილებელია სასამართლოს გადაწყვეტილება არ იყოს შაბლონური და მოვალეობის მოხდის მიზნით გადაწყვეტილი. მკითხველს უნდა უჩნდებოდეს იმის განცდა, რომ მოსამართლე სიღრმისეულად იცნობს საკითხს. არ უნდა რჩებოდეს ბუნდოვანი რაიმე მომენტი, რაც მკითხველის დამოკიდებულებას უარყოფითად განაწყობს. ჩვენს შემთხვევაში, როდესაც სასამართლო შემსრულებლის მიერ გაღებულ თანხებს არ მიიჩნევს აუცილებელ ხარჯებად ეს მან უნდა დაამტკიცოს საფუძვლიანი და სწორი მსჯელობით, მტკიცებულებების განხილვითა და ნორმათა მიზნის სწორად გადმოცემით. მხოლოდ იმაზე მითითება, რომ კონკრეტული ოდენობა გაღებული ხარჯების მიზანშეწონილად არ მიაჩნია არის დაუსაბუთებელი და სუბიექტური ფაქტორით განპირობებული ნააზრევი, რაც აუცილებლად მოითხოვს მტკიცებას და ისეთ დასაბუთებას, რომელიც გააქარწყლებს მკითხველისა თუ მხარის ნებისმიერ ეჭვს.

როგორც დასაწყისშიც ვახსენე, აღნიშნული ნაშრომი არ იყო იმ მიზნის შემცველი, რომ მომხდარიყო სკ-ს კრიტიკა გსკ-სთან შედარებით. პირიქით, ჩემი მიზანი იყო ამ ორი კანონის შედარება ერთმანეთთან, სწორედ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ფორმირება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე მოხდა. აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში სწორედაც რომ გამოიკვეთა გარკვეულწილად ის საკითხები, რაც ამ ორ კოდექსს ერთმანეთისგან განასხვავებს, რა თქმა უნდა, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების თავის ფარგლებში. ამ ერთგვარი განსხვავებულობის საფუძველი კი გარკვეულწილად ქმნის სწორედ იმ ბუნდოვან საკითხებს, რაც ნაშრომში იქნა დასმული, რაც ასევე შემდგომში,

საჭიროებს დამატებით განხილვას და საუკეთესო შემთხვევაში ცვლილებას
საკანონმდებლო დონეზე.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები, სტატიები და სადისერტაციო ნაშრომები

1. ბიოლინგი, ჰაინს/ლუტრინგჰაუსი, პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, 2009.
2. ბერიანიძე, სოფიო, დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მნიშვნელობა და ძირითადი მახასიათებლები, სამეცნიერო ჟურნალი ახალგაზრდა ადვოკატები, თბილისი, 2014 წ.
3. კერესელიძე, დავით, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.
4. კროპჰოლერი, იან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თორნიკე დარჯანიას და ზურაბ ჭეჭელაშვილის თარგმანი, 2014.
5. ნინიძე, თევდორე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, მეოთხე წიგნი, მეორე ტომი, 2001.
6. რუსიაშვილი, გიორგი, შედარებითი სამართლის ჟურნალი, დავალების გარეშე ასევე სხვისი საქმის შესრულება და მეპატრონის ნების საწინააღმდეგოდ შესრულება, 1/2020.
7. ცერცვაძე, გიორგი, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი, 2014.
8. ჩაჩავა, სოფიო, სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, ბოლო დამუშავება 2015წ, 7.
9. ჩაჩავა, სოფიო, მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, დისერტაცია, 2010.
10. Detlev, Fischer, Beck'scher Online-Kommentar.
11. Gehrlein BeckOK BGB, Hau/Poseck 57. Edition.
12. Gehrlein, Beck'scher Online-Kommentar BGB.
13. Gehrlein in Bamberger/Roth, Beck'scher Online-Kommentar BGB, 28. Auflage, 2013.
14. Herausgabepflicht Kurze Burandt/Rojahn, Erbrecht 3. Auflage 2019.
15. Laufs/Katzenmeier/Lipp, Arztrecht 8. Auflage 2021

16. Lippert, Rechtprobleme bei der Burchführung von Notarzt und Rettungsdienst, 1982, NJW 2093
17. Mansel Jauernig BGB, Bürgerliches Gesetzbuch 18. Auflage 2021.
18. Ogonowski, Die Geschäftsführung ohne auftrag nach österreichischem Rechte, 1877, S.5,6
19. Ranieri, Europäisches Obligationenrecht, Auflage, 2009, 1757.
20. Reiner Schulze, Pflichten des Geschäftsführers, Bürgerliches Gesetzbuch, 10. Auflage 2019.
21. Schäfer Münchener Kommentar zum BGB 8. Auflage 2020.
22. Seiler, Münchener Kommentar zum BGB, 6. Aufl, 2012.

სასამართლო გადაწყვეტილებები

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა N ას-109-107-2011, 7 აპრილი, 2011
2. ქუთაისის საქალაქო სასამართლო, N2/1308-12, 18.04.2013
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, Nას-649-610-2011, 4.10.2011
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა, Nას-749-1116-06
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა N-ას-1150-1079-20127 მარტი, 2013წელი
6. BGH Urteil vom 11.02.2004–VIII ZR 386/02 (OLG Saarbrücken), NJW, 2004, S. 1032.
7. FHZivR 28, Nr. 1754, OLG Köln, v. 27.1.82 2 U 76/81
8. Franßen/Blatt, NJW 2012, 1031, Ersatzansprüche aus Geschäftsführungohne Auftrag bei Feuerwehreinsatz
9. LG Karlsruhe, Urteil vom 28.4.2006 –9 S 479/05
10. NJW 2012, 1088, OLG Hamm, Urt. V. 20.10.2011-6U 116/11
11. NJW1963, 1252, LG Aachen, Urteil vom 25.4.1963 –6 S 17/63
12. OLG Karlsruhe Versr 1977, 936.
13. Zugang einer Kündigung im Urlaub, BAG, Urteil vom 22.3.2012-2 AZR 224/11

ინტერნეტ-წყაროები

1. <http://www.civilcode.ge>
2. <https://ecd.court.ge>
3. <http://www.gccc.ge>
4. <https://matsne.gov.ge>
5. <http://prg.supremecourt.ge>
6. <https://ecd.court.ge>
7. <https://www.gesetze-im-internet.de>